

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2027 -2030 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი

11.11. 2026 წელი (განახლებული)

შესავალი

მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლების პრიორიტეტების დოკუმენტს საფუძვლად დაედო საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნათა გათვალისწინებით საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების დოკუმენტი და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან 2026 წლის მიღებული N04-03/52966 წერილი, 2027-2030 წლების ძირითად საბიუჯეტო პარამეტრებისა და მიკროეკონომიკური პროგნოზების შესახებ.


მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლების პრიორიტეტების დოკუმენტში ასახულია ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ, მუნიციპალიტეტის შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2025-2030 წლებისთვის, 2025 წლის ფაქტიური წლიური და მიმდინარე 2026 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულების მონაცემები და მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში, რომელთა განხორციელებაც გათვალისწინებულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით.

დოკუმენტში ფინანსური რესურსების ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკების პრევენციის (შემცირების) მიზნით შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა, როგორიცაა ინკლუზიურობის პრინციპების გათვალისწინებით მოწესრიგებული და ადაპტირებულია ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, ხიდები, ხიდბოგირები, სანიაღვრე არხები, ნაპირსამაგრები გზებსა და მდინარეებზე, საგანგებო სიტუაციებში მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული უწყვეტი გადაადგილების უზრუნველსაყოფად, რომელიც ხელს უწყობს ინფრასტრუქტურის მდგრადობასა და მოსახლეობის შედარებით უსაფრთხო საცხოვრებელ გარემოს უზრუნველყოფას.

ასევე გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის კომპეტენციის სფეროში/დარგში/მიმართულებაში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ასპექტები;

პრიორიტეტების დოკუმენტი მომზადებულია „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ და„პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 08 ივნისის №385 ბრძანების მოთხოვნათა გათვალისწინებით. მუნიციპალიტეტის მიერ დასახული პრიორიტეტების, ასევე არსებული სიტუაციის ანალიზის გათვალისწინებით ჩამოყალიბდა საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა და განისაზღვრა შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები:

ინფრასტრუქტურის განვითარება (02 00)
დასუფთავება და გარემოს დაცვა (03 00)
განათლება (04 00)
კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი და ტურიზმი (05 00)
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (06 00)
მმართველობა და საერთო დანიშნულება (01 00)



1. ინფრასტრუქტურის განვითარება.



2. დასუფთავება და გარემოს დაცვა.




3. განათლება.



კულტურარელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი.



5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოც. უზრუნველყოფა



6. მმართველობა და საერთო დანიშნ.

მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი სრულად იზიარებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 2015 წლის 25 სექტემბერს მიღებული A/RES/70/1 რეზოლუციის - “ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“ სულისკვეთებას. დოკუმენტში დასახული საშუალოვადიანი პრიორიტეტების შესრულება ემსახურება „მდგრადი განვითარების მიზნების ხარაგაულის მუნიციპალური დოკუმენტი 2030“-ით დასახული მიზნების მიღწევას და განსაზღვრული ამოცანების განხორციელებას, რომელიც დამტკიცებულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 08/01 № გ-69.69240084 განკარგულები

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორია დასახლებული იყო ქვის ხანიდან. მდინარე ჩხერიმელას მარჯვენა ნაპირას, ხანდების კლდეში ნაპოვნია ზედა პალეოლითის ხანის ადამიანის მღვიმე-ნამოსახლარი, "დევისხვრელი". სოფელ ბორში 1938 წელს ჩატარებულმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა ათიოდე ჰექტარზე ბუდეებად გაფანტული ძვ. წ. III ს. I – ძვ. წ. ს. ბრაინჯაოს ხანის საგვარეულო და საოჯახო სამაროვნები. მათ შორის II-III სს. 2 მდიდრული ნეკროპოლი. ნაპოვნი ნივთები ინახება სანქტ-პეტერბურგის მუზეუმში ერმიტაჟში. სავარაუდოა, რომ სოფელი ბორი პიტიახშთა ერთ–ერთი რეზიდენცია იყო. არქეოლოგიური მასალა აღმოჩენილია ასევე სოფელ ბეჟათუბანში, საგვეშში, ლეღვანსა და გოლათუბანში. ფეოდალურ ხანაში მუნიციპალიტეტის ტერიტორია სტრატეგიული მნიშვნელობის იყო, რადგან მასზე გადიოდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი გზები. ტერიტორია არგვეთის საერისთავოში შედიოდა. 1774 წელს აქ მოხდა ჩხერის ბრძოლა იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის ჯარს შორის. ცენტრალური მნიშვნელობის იყო ვახანის ციხე, სადაც 1804 წელს გაფორმდა ელაზნაურის შეთანხმება, რომლითაც იმერეთის სამეფო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. 1917 წლამდე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორია შედიოდა ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრაში. დაბა ხარაგაულში დასახლება გაჩნდა XIX ს. 70-იან წლებში ფოთი-თბილისის რკინიგზის გაყვანასთან დაკავშირებით. ოსტორია

მდებარეობა



ხარაგაულის მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს ცენტრალურ ნაწილში, კერძოდ იმერეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. მუნიციპალიტეტს დასავლეთით ესაზღვრება ზესტაფონისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტები, სამხრეთით ბორჯომის, აღმოსავლეთით ხაშურის, ჩრდილოეთით კი ჭიათურისა და საჩხერის მუნიციპალიტეტები.

მუნიციპალიტეტში 20 ადმინისტრაციული ერთეულია. მათ შორის არის 1 დაბა და დანარჩენი 19 ადმინისტრაციული ერთეული მოიცავს 78 სოფელს, რომელთაგან 11-ს მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი, კერძოდ, ეს სოფლებია: გოლათუბანი, გოლისი, გუდათუბანი, ნუნისი, პატარა სახვლარი, ფონა, წიფა, ბჟინევი, ზვარე, ჩრდილი, გედსამანია. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია დაბა ხარაგაული.

ფართობი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტს ფართობის მიხედვით იმერეთის მუნიციპალიტეტებს შორის პირველი ადგილი უჭირავს და შეადგენს 913,9კვკმ-ს, რაც ქვეყნის საერთო ტერიტორიის (69 700 კმ2) 1,3 %-ია, ხოლო იმერეთის რეგიონის ტერიტორიის 14,2 % . მთლიანი ტერიტორიის 180 კვ.კმ უჭირავს დაბლობს, ხოლო 733, 9 კვ.კმ. – მთიან ადგილებს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში შიდა სასოფლო საავტომობილო გზების საერთო სიგრძე შეადგენს 512 კილომეტრს. მუნიციპალიტეტის 78 სოფლიდან 72 სოფელში მოწყობილია ცემენტო-ბეტონის გზები. რეაბილიტორებული გზების მთლიანი სიგრძე ამჟამად გზების საერთო სიგრძის 84%-ია -ია და ყოველწლიურად მუნიციპალიტეტი სხვადასხვა ფონდიდან ახდენს საშუალოდ 35-38 კმ გზის რეაბილიტაციას.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი		
მუნიციპალიტეტის ცენტრი	**დაბა ხარაგაული**	
თემის რაოდენობა	20	
სოფლის რაოდენობა	78	
ფართობი	913,9 კმ2	
პროცენტული წილი ქვეყნის ფართობთან	69 700 კმ2	1.3%
პროცენტული წილი რეგიონის ფართობთან	6 516 კმ2	14,2%
გზების სიგრძე	512	
მოსახლეობის რაოდენობა	16 810	
პროცენტული წილი ქვეყნის მოსახლეობაში	3 941 100	0.4%
პროცენტული წილი რეგიონის მოსახლეობაში	492 500	3,4 %
მ.შ. დაბაში	1 900	11,3%
მ.შ სოფელში	14 910	88,7%
მ.შ. ქალი	8 258	49,0 %
მ.შ. კაცი	8 558	51,0 %
მ.შ. 0-4 წლამდე ასაკის	722	4,3 %
მ.შ. სკოლის ასაკის	2495	14,8%
მ.შ. ასაკით პენსიონერი	5953	35,4 %
მ.შ. პენსიის სხვა მიმღები		
მ.შ. სოციალურად დაუცველი	785	
მოსახლეობის სიმჭიდროვე	18,3	
ბიუჯეტის მოცულობა 2026 წლის	39 588,5	

მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2026 წლის 14 ივლისის მდგომარეობით შეადგენს 16 810 ადამიანს, რაც ქვეყნის მოსახლეობის 0,4 % და რეგიონის მოსახლეობის 3,4 %-ია.. მოსახლეობის 51 % - მამაკაცია (8 558 კაცი) და შესაბამისად 49% - ქალი (8 258 ქალი). ამასთან, ადგილობრივი მოსახლეობის 11,3% (1 900 ადამიანი) ცხოვრობს დაბაში,ხოლო დანარჩენი 88,7 % (14 910 ადამიანი) სოფლებში.

0-დან 4 წლამდე ასაკის ბავშვების რაოდენობა არის 722. სასკოლო ასაკის ბავშვები 2 495. პენსიონრების რაოდენობ 5 953; სოციალურად დაუცველთა რაოდენობა 785 ოჯახი. მაღალმთიან რეგიონებში მაცხოვრებელთა რაოდენობა 821 კაცი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტისმიმდინარე 2026 წლის ბიუჯეტის მოცულობა ამ ეტაპზე განსაზღვრულია 41 499,8 ათ.ლარის ოდენობით. აქედან 64,3 % -26 685,2 ათასი ლარი ფინანსდება მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლებით, ხოლო 35,7 % - 14 814,7 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერებით.

საკუთარ შემოსავლებში აღსანიშნავია დამატებული ღირებულების გადასახადი, რომელზეც ყველაზე დიდი წილი, 53,0 % - 11 804,4 ათასი ლარი მოდის. რაც შეეხებ აქონების გადასახადს. მ. შ. საწარმოთა ქონების გადასახადს ბოლო წლებში საგრძნობლად იკლო ამ სახეში მისაღებმა შემოსავლებმა. ამასთან ზრდის ტენდენციით გამოიჩევა სხვა შემოსავლებიდან მისაღები შემოსავლები. არასაკუთარი შემოსავლები ძირითადად შედგება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი, სპეციალური და კაპიტალური ტრანსფერისგან, რომელიც მუნიციპალიტეტს ყოველწლიურად გამოეყოფა დელეგირებული უფლებამოსილების და ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ხდება ექვსი ძირითადი პრიორიტეტის დაფინანსება.

სხვა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ეკონომიკა ძირითადად წარმოდგენილია სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, გადამამუშავებელი მრეწველობის, მომსახურების და ვაჭრობის სფეროებით. ამ დარგებიდან ნაკლებადაა განვითარებული არასასოფლო-სამეურნეო ბიზნესი და გადამამუშავებელი მრეწველობა. ეკონომიკის წამყვანი დარგი სოფლის მეურნეობაა, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ტურიზმს უკავია.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტს ტურიზმის განვითარების კუთხით გარკვეული პოტენციალი გააჩნია. პირველ რიგში აღსანიშნავია ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, რომელშიც 7 მუნიციპალიტეტია გაერთიანებული და მათ შორის ყველაზე დიდი ტერიტორია ხარაგაულს უჭირავს. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტს

ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი აქვს შიდა და საერთაშორისო ტურისტების მოზიდვის თვალსაზრისით, მარკეტინგული ინსტრუმენტების ნაკლებობისა და გაუმართავი ტურისტული ინფრასტრუქტურის გამო, ხარაგაულის მიმდინარე ეტაპზე არ განიხილება აქტიურ ტურისტულ ცენტრად.

სოფლის მეურნეობის დარგი წარმოდგენილია 21 მცირე საწარმოთი (დასაქმებულია 95) და 180 საოჯახო ფერმერით, მათ შორის 97 მეფუტკრით.

მუნიციპალიტეტში ნაკლებად არის განვითარებული მრეწველობა, რომელიც დღეისათვის შემოიფარგლება მხოლოდ ბუნებრივი რესურსების მოპოვებითა და რეალიზაციით. თუმცა მუნიციპალიტეტს გააჩნია კარგი პოტენციალი ჰიდრო, ქარის და არატრადიციული ენერგეტიკის განვითარების მხრივ. ასევე შესაძლებელია ჩვეულებრივი და სამკურნალო დანიშნულების ხილ-კენკროვანი ნაყოფის გადამუშავება, ღვინის, სპირტის და კონიაკის წარმოების განახლება, ბუნებრივი და მინერალური წყლების ჩამოსხმა, ასევე, სამკურნალო ბალნეოლოგიური წყლების უფრო რაციონალურად გამოყენება.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს:

25 საჯარო, ერთი კერძო სკოლა და 9 საჯარო სკოლებთან ადაპტირებული სკოლა. მათში საერთო ჯამში 2046 მოსწავლე სწავლობს და 534 მასწავლებელია დასაქმებული.

21 საბავშვო ბაღი და 3 სასკოლო მზაობის ჯგუფი, სადაც აღსაზრდელთა საერთო რაოდენობა შეადგენს 400-ს.

ხარაგაულის კულტურის და ხელოვნების ცენტრი, რომელიც ემსახურება მუნიციპალიტეტში კულტურის განვითარებას, მის შემადგენლობაში აერთიანებს: საბიბლიოთეკო გაერთიანებას; ისტორიული მუზეუმს; სახალხო თეატრს; თოჯინების თეატრს; საბავშვო, სახალხო ქორეოგრაფიულ ანსამბლს „უბისი“, ფოლკლორული ჯგუფ „უბისი“-ს, ვაჟთა ვოკალურ ანსამბლს, ფოლკლორულ ანსამბლ „ოდილა“-ს.მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, სპორტული, სამუსიკო, სალოტბარო სკოლები. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიზანია ჩამოყალიბდეს როგორც მიმზიდველი, საინტერესო, ცხოვრებისა და დასვენებისათვის ხელსაყრელი პატარა მუნიციპალიტეტი, შესაბამისი ტრადიციებითა და თანამედროვე ინფრასტრუქტურით, განვითარებული ტურიზმით, აგროსექტორითა და მრეწველობის სხვადასხვა დარგებით, ეკონომიკური სტაბილურობით, განათლების, კულტურის, სპორტის, სამედიცინო მომსახურებისა და სოციალური უზრუნველყოფის ხელმისაწვდომობით.

ეფექტურად გაგრძელდება ყველა ისეთი საჭირო კომუნიკაციების მშენებლობა რეაბილიტაცია, როგორიცაა საგზაო ინფრასტრუქტურა, გარე განათების ქსელების, წყალმომარაგების სისტემის, დასასვენებელი ინფრასტრუქტურის და სხვათა მოწყობა, რათა მაქსიმალურად ხელი შეუწყოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას. განათლებული, მოტივირებული, სამეწარმეო სულისკვეთების მქონე, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდობა გახდება იმ მთავარი შედეგის მომტანი, რომელიც ჩვენს მუნიციპალიტეტს ჩააყენებს განვითარებული და ინოვაციური ეკონომიკის მქონე წარმატებულ მუნიციპალიტეტებს შორის.

პრიორიტეტების დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად პროგრამების დაგეგმვისას გათვალისწინებული იქნება ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ასპექტები და ხელი შეეწყობა თანასწორობის დამყარებას. რომელიც საბოლოოდ ემსახურება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას და აერთიანებს ადგილობრივ დონეზე სიღარიბის დაძლევისთვის კონკრეტულ ქმედებებს.

თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2.1 შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2027-2030 წლებისთვის

2026 წლის ბიუჯეტის შემოსულობებთან შედარებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურა 2027-2030 წლებში მნიშვნელოვნად არ იცვლება. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები გაანგარიშებულია ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრული პროგნოზის ფარგლებში.

2027-2030 წლებში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას, სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას. საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლებისას, გათვალისწინებულ იქნა 2027-2030 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველადი ვარიანტით განსაზღვრული მაკროეკონომიკური და ფისკალური მონაცემები. ასევე ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრაბ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლების შემოსულობების პროგნოზი საშუალოვადიან პერიოდში. დღგ-დან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები დათვლილია საბიუჯეტო კოდექსის 71-ე მუხლის შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლის შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო აგრეგირებული მაჩვენებლები განისაზღვრა შემდეგნაირად:

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

(ათას ლარი)

დასახელება	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	20230 წლის პროგნოზი
შემოსულობები	**37,883.1**	**35,557.8**	**21,670.9**	**23,693.4**	**23,786.0**	**24,294.5**
შემოსავლები	37,880.9	35,547.8	21,655.9	23,678.4	23,771.0	24,274.5
არაფინანსური აქტივების კლება	2.2	10.0	15.0	15.0	15.0	20.0
გადასახდელები	35,645.6	41,499.8	26 103,7	27,789.8	28,817.5	29,536.3
ხარჯები	13,396.8	13,276.6	24,221.7	25,684.8	26,442.5	27,061.3
არაფინანსური აქტივების ზრდა	50.9	52.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	50.9	52.0	0.0	0.0	0.0	0.0
ნაშთის ცვლილება	2,237.5	-5,942.0	-4,432.8	-4,096.4	-5,031.5	-5,241.8

ბიუჯეტის შემოსულობები

(ათას ლარებში)

დასახელება	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	20230 წლის პროგნოზი
შემოსულობები	**37,883.1**	**35,557.8**	**21,670.9**	**23,693.4**	**23,786.0**	**24,294.5**
გადასახადები	19,581.9	19,804.4	14,958.5	17,180.5	17,267.6	17,765.6
ქონების გადასახადი	8,611.2	8,000.0	2,000.0	2,000.0	2,000.0	2,000.0
დამატებული ღირებულების გადასახადი	10,970.7	11,804.4	12,958.5	15,180.5	15,267.6	15,765.6
გრანტები	**14,704.6**	**13,504.4**	**231.4**	**231.4**	**231.4**	**231.4**
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	211.0	447.4	231.4	231.4	231.4	231.4
სხვა შემოსავლები	**3,594.4**	**2,455.0**	**6,466.0**	**6,266.5**	**6,272.0**	**6,277.5**
შემოსავლები საკუთრებიდან	786.9	400.0	405.0	205.0	205.0	210.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	86.5	55.0	61.0	61.5	67.0	67.5
ჯარიმები, სანქციები და საურავები	2,712.8	2,000.0	6,000.0	6,000.0	6,000.0	6,000.0
არაფინანსური აქტივების კლება	2.2	10.0	15.0	15.0	15,0	20.0

ბიუჯეტის გადასახდელები

(ათას ლარებში)

პროგრამული კოდი	დასახელება	2025 წლის წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	2030 წლის პროგნოზი
	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	**35,645.6**	**41,499.8**	**26,103.7**	**27,789.8**	**28,817.5**	**29,536.3**
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულება	5,343.4	7,035.1	6,958.2	7,090.8	7,212.8	7,357.8
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	5,287.0	6,861.9	6,833.2	6,885.8	7,007.8	7,152.8
01 01 01	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1,170.5	1,652.9	1,593.7	1,672.2	1,804.2	1,949.2
01 01 02	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია	4,104.3	5,188.4	5,209.5	5,170.6	5,160.6	5,160.6
01 01 04	კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი	12.3	20.5	30.0	43.0	43.0	43.0
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	56.4	173.2	125.0	205.0	205.0	205.0
01 02 01	სარეზერვო ფონდი	0.0	60.2	120.0	200.0	200.0	200.0
01 02 02	წინაპერიოდში წარმოქმნილი და ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინასური უზრუნველყოფა	0.0	50.0	0.0	0.0	0.0	0.0

პროგრამული კოდი	დასახელება	2025 წლის წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	2030 წლის პროგნოზი
	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	**35,645.6**	**41,499.8**	**26,103.7**	**27,789.8**	**28,817.5**	**29,536.3**
01 02 03	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	56.4	58.0	0.0	0.0	0.0	0.0
01 02 04	ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს ხელშეწყობა	0.0	5.0	5.0	5.0	5.0	5.0
02 00	**ინფრასტრუქტურის განვითარება**	**14,689.5**	**12,888.2**	**3,080.6**	**3,300.0**	**3,610.0**	**3,710.0**
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	12,322.1	8,564.6	1,570.6	1,710.0	1,990.0	2,090.0
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	11,393.8	7,835.0	750.0	820.0	1,100.0	1,200.0
02 01 02	გზების მიმდინარე შეკეთება	452.5	148.3	300.0	300.0	300.0	300.0
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	44.3	75.8	70.6	70.0	70.0	70.0
02 01 04	ხიდების, ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია	287.9	198.6	200.0	200.0	200.0	200.0
02 01 05	მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა	143.6	306.9	250.0	320.0	320.0	320.0
02 02	წყლის სისტემის განვითარება	252.9	831.6	390.0	440.0	440.0	440.0
02 02 01	სასმელი წყლით უზრუნველყოფა	149.9	575.7	280.0	230.0	230.0	230.0
02 02 02	კანალიზაციის სისტემების განვითარება (სანიაღვრე არხების მოწყობა)	102.9	255.9	110.0	210.0	210.0	210.0
02 03	გარე განათება	433.9	672.0	620.0	600.0	630.0	630.0
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	425.0	575.0	590.0	600.0	630.0	630.0
02 03 02	გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა	9.0	97.0	30.0	0.0	0.0	0.0
02 04	მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია	210.3	307.0	100.0	150.0	150.0	150.0
02 05	კეთილმოწყობა	316.9	1,198.8	150.0	150.0	150.0	150.0
02 05 02	სასაფლაოების მოვლა, შემოღობვა	0.0	0.000	60.0	0.0	0.0	0.0
02 05 03	კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია	316.9	1,198.8	90.0	150.0	150.0	150.0
02 09	სოფლის მხარდამჭერი პროგრამა	1,153.3	1,314.2	250.0	250.0	250.0	250.0
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**2,500.4**	**3,445.6**	**3,643.9**	**3,943.9**	**3,943.9**	**3,943.9**
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2,185.9	3,049.6	3,200.0	3,500.0	3,500.0	3,500.0
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა	312.8	379.0	443.9	443.9	443.9	443.9
03 03	მიუსაფარი ცხოველების მოვლა-პატრონობა	1.7	17.0	0.0	0.0	0.0	0.0
04 00	**განათლება**	**5,345.1**	**8,055.2**	**4,994.4**	**5,448.0**	**5,890.7**	**6,352.5**
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	3,543.5	3,984.1	4,358.0	4,820.5	5,263.2	5,725.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	0.0	78.2	0.0	0.0	0.0	0.0
04 03	მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების პროგრამა	1,115.1	1,373.2	0.0	0.0	0.0	0.0
04 04	სკოლების რეაბილიტაცია, აღჭურვა	207.2	2,076.9	**10.0**	15.0	15.0	15.0
04 05	ზოგადი განათლების ხელშეწყობა (ინტერნატი)	180.9	195.2	204.5	190.6	190.6	190.6
04 06	სკოლისგარეშე განათლების პროგრამა (მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი)	298.4	347.5	421.9	421.9	421.9	421.9
05 00	**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**	**3,157.4**	**4,136.1**	**3,932.1**	**4,092.4**	**4,102.4**	**4,112.4**
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1,028.3	1,570.9	1,192.0	1,342.0	1,342.0	1,342.0
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	13.8	24.0	12.0	12.0	12.0	12.0
05 01 02	სპორტის ხელშეწყობა	745.9	1,045.0	1,020.0	1,080.0	1,080.0	1,080.0

პროგრამული კოდი	დასახელება	2025 წლის წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	2030 წლის პროგნოზი
	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	**35,645.6**	**41,499.8**	**26,103.7**	**27,789.8**	**28,817.5**	**29,536.3**
05 01 03	სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა აღჭურვა	268.6	501.9	160.0	250.0	250.0	250.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1,914.2	2,276.1	2,456.0	2,461.3	2,471.3	2,481.3
05 02 01 01	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	280.4	310.4	345.2	330.0	340.0	350.0
05 02 01 02	კულტურისა და ხელოვნების და შიდა ტურიზმის ხელშეწყობა	1,591.5	1,890.0	2,058.3	2,081.3	2,081.3	2,081.3
05 02 01 03	ფოლკლორის ხელშეწყობის პროგრამა	30.4	33.5	41.4	40.0	40.0	40.0
05 02 02	კულტურის ღონისძიებების დაფინანსება	11.9	10.0	11.0	10.0	10.0	10.0
05 03	მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ხელშეწყობის პროგრამა	119.4	140.0	135.1	153.1	153.1	153.1
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	80.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0
05 05	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	15.5	49.0	49.0	36.0	36.0	36.0
06 00	**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**4,609.8**	**5,939.6**	**3,494.5**	**3,914.7**	**4,057.7**	**4,059.7**
06 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	290.1	328.3	371.5	371.5	371.5	371.5
06 03	სოციალური დაცვა	4,319.7	5,611.3	3,123.0	3,543.2	3,686.2	3,688.2
06 03 01	სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარება	883.6	908.6	600.0	700.0	700.0	700.0
06 03 03	შშმ პირთა დახმარება	90.1	127.0	120.0	120.0	120.0	120.0
06 03 04	ერთჯერადი ფინანსური დახმარება	1,087.4	1,330.5	1,000.0	1,000.0	1,100.0	1,100.0
06 03 05	ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება	46.4	65.0	75.0	75.0	75.0	75.0
06 03 06	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	27.6	60.3	63.0	63.0	63.0	63.0
06 03 07	მარტოხელა მშობლების დახმარება	20.4	24.0	30.0	30.0	30.0	30.0
06 03 08	მარჩენალდაკარგულ და რეინტეგრირებულ პირთა დახმარება	55.2	56.5	80.0	112.0	112.0	112.0
06 03 09	ყოველთვიური დახმარება	79.9	80.0	100.0	117.2	117.2	117.2
06 03 10	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარება	9.0	9.0	9.0	9.0	9.0	9.0
06 03 11	ხანდაზმულთა დახმარება	7.0	8.0	10.0	10.0	10.0	10.0
06 03 12	სადღესასწაულო დღეების დახმარება	259.6	177.7	50.0	100.0	143.0	145.0
06 03 13	სოციალურად დაუცველი და მოვლა პატრონობის გარეშე დარჩენილ მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება	10.8	20.0	40.0	40.0	40.0	40.0
06 03 14	უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების გათბობის უზრუნველსაყოფად ფინანსური დახმარება	66.3	140.0	50.0	60.0	60.0	60.0
06 03 15	ახალშობილთა ოჯახების დახმარება	20.3	71.0	80.0	100.0	100.0	100.0
06 03 16	გარდაცვლილი დევნილის ან ვეტერანის დაკრძალვა	0.0	1.0	1.0	1.0	1.0	1.0

პროგრამული კოდი	დასახელება	2025 წლის წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	2030 წლის პროგნოზი
	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	**35,645.6**	**41,499.8**	**26,103.7**	**27,789.8**	**28,817.5**	**29,536.3**
06 03 17	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და/ან მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარება, უსახლკაროთა და ძალადობის მსხვერპლთა ბინის ქირით უზრუნველყოფა	1,131.7	1,852.4	250.0	400.0	400.0	400.0
06 03 18	უფასო სასადილო	313.3	362.3	360.0	381.0	381.0	381.0
06 03 19	სოციალური დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და საგრანტო პროექტების ხელშეწყობა	20.0	30.0	30.0	30.0	30.0	30.0
06 03 20	გადაუდებელი რეაგირების ქვეპროგრამა	77.0	145.0	60.0	80.0	80.0	80.0
06 03 21	ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დახმარება	25.0	30.0	30.0	30.0	30.0	30.0
06 03 22	არასრულწლოვანთა მხარდაჭერა და პოზიტიური მშობლობის პროგრამა	89.2	108.0	80.0	80.0	80.0	80.0
06 03 23	პერსონალური ასისტენტის მომსახურება	0.0	5.0	5.0	5.0	5.0	5.0

ბიუჯეტის ბალანსი

(ათას ლარი)

დასახელება	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	20230 წლის პროგნოზი
I. შემოსავლები	**37,880.9**	**35,547.8**	**21,655.9**	**23,678.4**	**23,771.0**	**24,274.5**
გადასახადები	19,581.9	19,804.4	14,958.5	17,180.5	17,267.6	17,765.6
გრანტები	14,704.6	13,288.4	231.4	231.4	231.4	231.4
სხვა შემოსავლები	3,594.4	2,455.0	6,466.0	6,266.5	6,272.0	6,277.5
ხარჯები	**22,197.9**	**28,171.2**	**24,221.7**	**25,684.8**	**26,442.5**	**27,061.3**
შრომის ანაზღაურება	3,267.1	4,047.0	4,335.0	4,436.0	4,547.0	4,668.0
საქონელი და მომსახურება	4,092.6	5,172.9	3,035.8	3,012.8	3,033.8	3,057.8
პროცენტი	5.5	6.0	0.0	0.0	0.0	211.4
სუბსიდიები	10,041.7	12,269.2	13,284.0	14,163.2	14,645.9	14,906.3
გრანტები	150.1	249.6	261.9	246.6	246.6	266.6
სოციალური უზრუნველყოფა	2,922.2	3,495.5	2,582.0	2,836.2	2,979.2	2,961.2
სხვა ხარჯები	1,718.8	2,931.0	723.0	990.0	990.0	990.0
III. საოპერაციო სალდო	**15,683.0**	**7,376.6**	**-2,565.8**	**-2,006.4**	**-2,671.5**	**-2,786.8**
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	13,394.6	13,266.6	**1,867.0**	2,090.0	2,360.0	2,455.0
ზრდა	13,396.8	13,276.6	1,882.0	2,105.0	2,375.0	2,475.0
კლება	2.2	10.0	15.0	15.0	15.0	20.0
V. მთლიანი სალდო	**2,288.4**	**-5,890.0**	**-4,432.8**	**-4,096.4**	**-5,031.5**	**-5,241.8**
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	**2,237.5**	**-5,942.0**	-4,432.8	**-4,096.4**	**-5,031.5**	**-5,241.8**

დასახელება	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	20230 წლის პროგნოზი
კლება	-2,237.5	5,942.0	4,432.8	4,096.4	5,031.5	5,241.8
VII. ვალდებულებების ცვლილება	**-50.9**	**-52.0**	0.0	**0.0**	**0.0**	**0.0**
კლება	50.9	52.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	50.9	52.0	0.0	0.0	0.0	0.0
VIII. ბალანსი	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**

2.2 გასული 2025 წლის წლიური და მიმდინარე 2026 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის შესრულება

2025 წელი - ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულება 2025 წელს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2024 წლის 17 დეკემბერს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს N25 დადგენილებით. შემოსულობების მოცულობა განისაზღვრა 19 767,3 ათასი ლარით, გადასახდელების მოცულობა 20 282,6 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება 515,3 ათასი ლარის ოდენობით. წლის განმავლობაში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილების შედეგად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში გაიზარდა 16 140,5 ათასი ლარით და განისაზღვრა 35 907,8 ათასი ლარით. მ.შ. ზრდა განხორციელდა სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერის ხარჯზე 15 675,9 ათასი ლარით და საკუთარი შემოსავლების ხარჯზე 464,6 ათასი ლარით, მათ შორის ბანკიდან მიღებული პროცენტებით შემოსულობები გაიზარდა 360,0 ათასი ლარით, ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლებით 50,0 ათასი ლარით და საერთაშორისო ორგანიზაციიდან მიღებული გრანტიდან 54,6 ათასი ლარით. ფაქტიურად 2025 წელს ხარაგულის მუნიციპალიტეტმა მიიღო 37 883,1 ათასი ლარის შემოსულობები. შემოსულობების გეგმა შესრულებულია 105,5 %-ით. გეგმის ზევით მობილიზებულია 1 975,3 ათასი ლარი, ხოლო გასულ 2024 წელთან შედარებით მიღებულია 4 996,2 ათასი ლარით მეტი შემოსულობები.

ბიუჯეტის **შემოსავლების** (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) სახით მობილიზებულია 37 880,9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (35 827,8 ათასი ლარი) 105,7% და მთლიანი - შემოსულობების 99,9 % შეადგინა. მათ შორის:

გადასახადები 2025 წელში დაგეგმილი 17 208,9 ათასი ლარის ნაცვლად შემოსულია 19 581,9 ათასი ლარი, გადასახადების 2025 წლის გეგმა შესრულებულია 113,8 %-ით და გეგმის ზევით მობილიზებული იქნა 2 373,0 ათასი ლარი, ხოლო წინა 2024 წელთან შედარებით 3 672.8 ათასი ლარით მეტი. მათ შორის: ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავლები დაგეგმილი 6 200.0 ათასი ლარიდან მიღებულია 8 611.2 ათასი ლარი, მათ შორის გადასახადების ძირითადი სახეებიდან კერძოდ, საწარმოთა ქონების გადასახადიდან მიღებულია 7 974.2 ათასი ლარი, უცხოურ საწარმოთა ქონების გადასახადიდან 2025 წელს უკან წაღებულია 206,1 ათასი ლარი, ხოლო არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადიდან მუნიციპალიტეტმა მიიღო 793,4 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტში გადასახადების ყველაზე მასშტაბურ გადამხდელია საქართველოს რკინიგზა.

დამატებული ღირებულების გადასახადი დაგეგმილი 11 008,9 ათასი ლარიდან მიღებულია 10 970,7ათასი ლარი, დაგეგმილზე 38,2 ათასი ლარით ნაკლები და 2024 წელთან შედარებით 1 396,3 ათასი ლარით მეტი.

გრანტები მუნიციპალიტეტმა 2025 წელს დაგეგმილი 16 028,9 ათასი ლარიდან მიიღო 14 704,6 ათასი ლარი, 91,7%, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობებიდან მიღებულია კაპიტალური გრანტი 54,6 ათასი ლარი; მიზნობრივი ტრანსფერი მუნიციპალიტეტის დელეგირებული უფლება-მოსილების განსახორციელებლად 211,0 ათასი ლარი. მიზნობრივი ტარანსფერი მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრასპორტირების დელეგირებაზე 1 263,7 ათასი ლარი; მიზნობრივი ტარანსფერი მუნიციპალიტეტის საჯარო


სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების დელეგირებაზე 449,2 ათასი ლარი; საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდებით 2025 წელს გეგმით და ფაქტიურად 9 358,6 ათასი სოფლის მხარდამჭერი პროგრამით - 890,0 ათასი ლარი; მაღალმთიანი განვითარების ფონდიდან გამოყოფილი 278.8 ათასი ლარი; სპეციალური ტრანსფერი სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად მიღებულია 1 898.7 ათასი ლარი. კაპიტალური გრანტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში - 300,0 ათასი ლარი;

სხვა შემოსავლები დამტკიცებული ბიუჯეტით შეადგენდა 2 180,0 ათა ლარს, რომელიც გაიზარდა 410,0 ათასი ლარით (ბანკიდან მიღებული პროცენტებისა და საგზაო ჯარიმების ხარჯზე) და განისაზღვრა 2 500,0 ათასი ლარით, ფაქტიურად კი მუნიციპალიტეტმა მიიღო 3 594,4 ათასი ლარის სხვა შემოსავლები, გეგმა შესრულდა 138,8 %-ით, მიღებულია დაგეგმილზე 1 004,0 ათასი ლარით მეტი და წინა 2024 წლის მაჩვენებელთან შედარებით 565,8 ათასი ლარით მეტი. მიუხედვად გეგმების დაზუსტებისა, გადაჭარბებით შესრულდა ბანკიდან მიღებული შემოსავლებისა და ჯარიმების გეგმები. ბანკის პროცენტიდან მიღებულია 144,3 ათასი ლარით მეტი და ჯარიმებიდან 857,8 ათასი ლარით მეტი შემოსავალი. შეუსრულებელი დარჩა მხოლოდ სანებართვო და დასუფთავების მოსაკრებლის გეგმები. სანებართვო მოსაკრებლის შესრულებას დააკლდა 0,4 ათასი ლარი და დასუფთავების მოსაკრებლიდან ბიუჯეტს დააკლდა 13,0 ათასი ლარი, რაც გამოწვეულია მსხვილი გადამხდელების მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გასვლის გამო.

არაფინანსური აქტივების კლებიდან დაგეგმილი 80,0 ათასი ლარის ნაცვლად მიღებულია მხოლოდ **2,2** ათასი ლარი მიწის პრივატიზაციიდან, გეგმის შეუსრულებლობა ძირითადად გამოწვეულია ინვენტარიზაციის დაუსრულებლობით.

ათასი ლარი

დასახელება	2025 წელი			
	გეგმა	ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	**35 827,8**	**37 880,9**	**2 053,1**	**105,7**
გადასახადები	17 208,9	19 581,9	2 373,0	113,8
გრანტები	16 028,9	14 704,6	- 1 324,3	91,7
სხვა შემოსავლები	2 590,0	3 594,4	1 004,4	138,8



მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება 2025 წელს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელები (ხარჯები) დამტკიცებული ბიუჯეტით განისაზღვრებოდა 20 282,6 ათასი ლარით, წლის განმავლობაში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილების შედეგად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გადასახდელების ნაწილში გაიზარდა 21 415,1 ათასი ლარით და განისაზღვრა 41 697,7 ათასი ლარით, ფაქტიურად ათვისებული იქნა 35 645,6 ათასი ლარის ხარჯები -85,5%-ი, დაგეგმილზე 6 052,1 ათასი ლარით ნაკლები და წინა 2024 წლის ხარჯებთან შედარებით 5 697 ,0 ათასი ლარით მეტი. 2024 წლის ფაქტიური ხარჯები შეადგენდა 29 948,6 ათასი ლარს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების განხილვა (ხარაგაულისმოსახლეობის რაოდენობა 16 810 კაცი; საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 3 941 100 კაცი)

დასახელება	2023 წელი ფაქტი		2024 წელი ფაქტი		2025 წელი ფაქტი	
	ათას ლარებში	ერთ სულ მოსახლეზე	ათას ლარებში	ერთ სულ მოსახლეზე	ათას ლარებში	ერთ სულ მოსახლეზე
შრომის ანაზღაურება	2 867.6	171	3 011.5	179	3 267.1	195
სხვა მიმდინარე ხარჯები	11 778.5	701	14 284.8	850	18 981.7	1129
კაპიტალური ხარჯები	8 890.7	529	12 652.3	752	13 396.8	796
გადასახდელები სულ ხარაგაული	**23 536.8**	**1401**	**29 948.6**	**1781**	**35 645.6**	**2120**
გადასახდელები სულ საქართველო	**22 350 179,4**	**5 671**	**25 946 342,9**	**6584**	**27 723 319,2**	**7034**
შემოსავლები საკუთარი წყაროდან	13 943,4	829	19 052,6	1134	23 627,0	1405
გრანტები (ტრანსფერები)	10 796,1	642	13 834,3	822	14 256,0	848
სულ შემოსულობები ხარაგაული	**24 739,4**	**1471**	**32 886,9**	**1956**	**37 883,1**	**2 254**
სულ საქართველო	**22 680 018,6**	**5 755**	**25 755 258,7**	**6535**	**27 802 874,1**	**7054**

ანალიზი ცხადყოფს, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში როგორც შემოსულობები ასევე გადასახდელები 2023 წლიდან საგრძნობლად არის გაზრდილი ერთ სულ მოსახლეზე, თუმცა ჯერ კიდევ ჩამორჩება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიან საშუალო მონაცემებს

მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგნაირად მიიმართა:

- ✓ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება – 5 2952,5 ათასი ლარი;
- ✓ ეკონომიკური საქმიანობა – 13 475,5 ათასი ლარი;
- ✓ გარემოს დაცვა – 2 500,4 ათასი ლარი;
- ✓ საბინაო–კომუნალური მეურნეობა – 1 214,0 ათასი ლარი;
- ✓ ჯანმრთელობის დაცვა – 290, 1ათასი ლარი;
- ✓ დასვენება, კულტურა და რელიგია – 3 157,4 ათასი ლარი;
- ✓ განათლება – 5 345,1 ათასი ლარი;
- ✓ სოციალური დაცვა –4 319,7 ათასი ლარი.


ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტების ხარჯების სტრუქტურა ფუნქციონალურ ჭრილში

(ათას ლარებში)

დასახელება	2025 წელი	
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	5,292.5	14.9
ეკონომიკური საქმიანობა	13,475.5	37.9
გარემოს დაცვა	2,500.4	7.0
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1,214.0	3.4
ჯანმრთელობის დაცვა	290.1	0.8
დასვენება, კულტურა და რელიგია	3,157.4	8.9
განათლება	5,345.1	15.0
სოციალური დაცვა	4,319.7	12.1
სულ	35,594.7	100.0


ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელები (ხარჯები) დამტკიცებული ბიუჯეტით განისაზღვრებოდა 20 282,6 ათასი ლარით, წლის განმავლობაში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილების შედეგად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გადასახდელების ნაწილში გაიზარდა 21 415,1 ათასი ლარით და განისაზღვრა 41 697,7 ათასი ლარით, ფაქტიურად ათვისებული იქნა 35 645,6 ათასი ლარის ხარჯები -85,5%-ი, დაგეგმილზე 6 052,1 ათასი ლარით ნაკლები და წინა 2024 წლის ხარჯებთან შედარებით 5 697 ,0 ათასი ლარით მეტი. 2024 წლის ფაქტიური ხარჯები შეადგენდა 29 948,6 ათასი ლარს.

პრიორიტეტების მიხედვით ყველაზე მეტი ხვედრითი წილი მოდის **ინფრასტრუქტურის განვითარების დაფინანსებაზე** და შედგენს 41,2 % -ს;



2025 წელს აღნიშნულ პრიორიტეტი საბოლოოდ განისაზღვრა 16 529,3 ათასი ლარი, ფაქტიურად კი ათვისებულია 14 689,5 ათასი ლარი, გეგმა შესრულებულია 88,9 -ით და წინა 2024 წელთან შედარებით გაწეულია 1 020,2 ათასი ლარით მეტი ხარჯი.

დიაგრ. N1



ინფრასტრუქტურის პრიორიტეტში ყველაზე მეტი 12 322,1 ათასი ლარი 83,9 % მიმართულია **„საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა - 01 01 პროგრამული კოდი“**დაფინანსებაზე.

საგზაო ინფარასტრუქტურაში ყველაზე დიდი წილი მოდის ,,**გზების კაპიტალური მშენებლობა- პროგრამული კოდი 03 01 01“** აღნიშნული ქვეპროგრამით დაგეგმილი 12 403,7 ათასი ლარიდან ფაქტიურად გაწეულია 11 393,8 ათასი ლარის ხარჯი -91,1 %, მ. შ სახ. ფონდების ხარჯზე გაწეულია 10 645,7 ათასი ლარი და მუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით 748,1 ათასი ლარი.

გზების მიმდინარე შეკეთებაზე - პროგრამული კოდი 03 01 02 “ დაგეგმილი 621,7 ათ. ლარიდან ათვისებულია 452,5 ათასი ლარი, აქედან, 164,5 სახელმწიფო ფონდებიდან და 288,0 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით. მ. შ.

საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება - პროგრამული კოდი 02 01 03 დაგეგმილი 44,7 ათასი ლარიდან ათვისებულია 44,3 ათასი ლარი.

ხიდების რეაბილიტაციაზე - პროგრამული კოდი 02 01 04. გათვალისწინებული 424,0 ათასი ლარიდან ათვისებული იქნა 287,9 ათასი ლარი, აქედან 236,0 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებით.

საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურეობაზე- პროგრამული კოდი 03 01 05“ მუნიციპალიტეტმა დაგეგმილი 200,0 ათასი ლარიდან დახარჯა 143,6 ათასი ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებები მოხმარდა ტრანსპორტით დაქირავების ხარჯებს დაბა ხარაგაულის ცენტრიდან სხვადასხვა სოფლის ცენტრებამდე.

წყლის სისტემის განვითარება პროგრამული კოდი 02 02 “ პროგრამა მოიცავს როგორც წყალმომარაგების არსებული ქსელის მოვლა-შენახვის ღონისძიებებს, საკანალიზაციო სისტემების გამართულ ფუნქციონირებასა და ახალი საკანალიზაციო სისტემების მოწყობას, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას.

მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა - 02 02 01 პრ. კოდი“ 2025 წელს სასმელი წყლით უზრუნველყოფაზე დახარჯულია 149,9 ათასი ლარი.

საკანალიზაციო სისტემის განვითარება (სანიაღვრე არხების მოწყობა, გაწმენდა, მდინარეებსა და ღელეებზე ნაპირსამაგრების მშენებლობა) -
საანგარიშო 2025 წელს დაგეგმილი186,1 ათასი ლარიდან გაწეულია 102,9 ათასი ლარის საკასო ხარჯი, აქედან სახ. ფონდებით 102,2 ათასი ლარი.

გარე განათება პროგრამული კოდი - 02 03 პროგრამა ითვალისწინებს ქუჩების, მოედნების, სკვერების განათებას, გარე განათების ქსელის რეკონსტრუქციას და ექსპლოატაციას. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება გარე განათების ქსელის მოდერნიზაცია–განვითარება, არსებული ნათურების ეკონომიური ნათურებით ჩანაცვლება, მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა და განათების ახალი წერტილების მოწყობა. პროგრამა მოიცავს ორ ქვეპროგრამას.

გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია პროგრამული კოდი - 02 03 01, რომელიც ხორციელდება ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების მიერ და დახარჯულია 375,3 ათ. ლარი, აქედან ელექტროენერგიის საფასურის დასაფარავად 172,0 ათ. ლარი.

გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა (პროგრამული კოდი 02 03 02)
ქვეპროგრამის მიზანია მონაწილეობითი ბიუჯეტის ფარგლებში სოფ ვარძიაში სასოფლო გზაზე გარე განათების მოწყობა. რაზედაც 2025 წელს დაიხარჯა მხოლოდ 9,0 ათასი ლარი.

მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია პროგრამული კოდი - 02 04 " პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სახურავების რეაბილიტაცია, სადრენაჟე სისტემების, ფასადებისა და კიბის უჯრედების მოწესრიგება. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი 211,0 ათასი ლარიდან შესრულებულია 210,3 ათასი ლარის სამუშაოები.

,,კეთილმოწყობა პროგრამული კოდი - 02 05" მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულია 34 ერთეული, საერთო 8700 კვმ ფართობის სკვერი და პარკი. მ.შ. დაბის ტერიტორიაზე 11 ერთეული ღია სივრცე. სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის მიზნით ხორციელდება მწვანე სივრცეების, ფეხით მოსიარულეთა ბილიკების, ატრაქციონების, ფანჩატურების და სხვა დასვენების და გართობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა. პროგრამას აქვს სამი ქვეპროგრამა, საიდანაც აქტიურია მხოლოდ ერთი.

,,კეთილმოწყობის ობიექტების რეაბილიტაცია - პროგრამული კოდი - 02 05 03"

2025 წელს დაგეგმილი 472,2 ათასი ლარიდან გაწეულია 316,9 ათასი ლარის საკასო ხარჯი, მ.შ. 175,7 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებიდან და 141,2 სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებით

სოფლის მხარდამჭერი პროგრამა - პროგრამული კოდი 02 06 ხორციელდება სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ინფრასტრუქტურული პირობების გასაუმჯობესებლად.

2025 წელს დაგეგმილი 1 219,1 ათასი ლარიდან, ფაქტიურად ათვისებული იქნა 1 153,3 ათასი ლარი. 94,6%. აქედან 874,0 ათასი ლარი სახ. ფონდების სახსრებიდან და 279,3 ათასი ლარი საკ. სახსრებით, საკუთარი საბიუჯეტო სახსრების მონაწილეობის წილმა სოფლის მხარდამჭერი პროგრამაში შეადგინა 24,2 %. საკუთარი სახსრებით მოხდა თანადაფინანსება და ასევე გაწეული იქნა სოფლის პროგრამით განხორციელებული და ექსპლუატაციაში შესული ობიექტების ელექტრონულ სისტემაზე დაერთების ხარჯები. სულ საანგარიშგებო წელში სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 162 ინფრასტრუქტურული პროექტი, აქედან 396,3 ათასი ლარი მოხმარდა გზების რეაბილიტაციას; მოეწყო და რეაბილიტაცია გაუკეთდა მოსაცდელებს 20,4 ათასი ლარით; გზებზე ნაპირსამაგრების, სანიაღვრე არხების, საყრდენი კედლების, ხიდების, ხიდბოგირების და მილხიდების მოსაწყობად განხორციელებულ პროექტებზე დაიხარჯა 173,1 ათ. ლარი. წყლის სისტემების მოწყობაზე - 98,7 ათასი ლარი, წისქვილების რეაბილიტაციაზე 23,6 ათ. ლარი, სკვერების მოწყობაზე - 19,8 ათასი ლარის, გარე განათების ქსელის მოწყობაზე - 244,1 ათასი ლარი, სასაფლაობის შემოღობვაზე 106,3 ათასი ლარი, ამბულატორიებზე 2,3 ათასი ლარი. სპორტული დარბაზების, მოედნების და სპორტული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად 48,3 ათასი ლარი. სხვა დანრჩენი ახარჯების ანაზღაურებას როგორიცაა განათების ქსელზე დაერთების, ხარჯთაღიცხვების შეძენის და სხვა ხარჯების ანაზღაურებაზე 20,4 ათასი ლარი.

დასუფთავება და ნარჩენების გატანა - პროგრამული კოდი 03 00. პრიორიტეტი დამტკიცებული ბიუჯეტით განისაზღვრებოდა 2 221,9 ათასი ლარი, რომელიც წლის განმავლობაში გაიზარდა 66,3 ათასი ლარით და შეადგინა 2 885,0 2 ათასი ლარი, ფაქტიურად პრიორიტეტის დაფინანსებას სულ მოხმარდა 2 500,4 ათასი ლარი, დაფინანსებულია 86,7%-ით და გასული 2024 წლის ფაქტიურ მაჩვენებელს აღემატება 508,4 ათასი ლარი

დასუფთავება და ნარჩენების გატანაზე - პროგრამული კოდი 03 01 დაგეგმილი 2 555,0 ათ. ლარიდან დაიხარჯა 2 185,9 ათასი ლარი და დაფინანსებულია 85,6 %-ით. პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ,,დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"ახორციელებს დაბასა და მუნიციპალიტეტის ადმინიტრაციული ერთეულებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების მოგროვებას და გატანას,

მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე პროგრამული კოდი 03 02 დახარჯულია 312,8 ათასი ლარი.
მიუსაფარი ცხოველების მოვლა პატრონობაზე პროგრამული კოდი 03 03, ამ პროგრამით ფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული უპატრონოდ დარჩენილი ცხოველების თავშესაფარში გადაყვანის, შემდომში სამედიცინო სამუშაოების (სტერილიზაცია, კასტრაცია, პარაზიტებზე დამუშავება, იდენტიფიცირება ყურის კლიპის მეშვეობით, ცოფზე აცრა) ჩატარებისა და მის ბუნებრივ არიალში დაბრუნების ღონისძიებები.

ამ პროგრამის განხორციელებას 2025 წელს 9,3 ათასი ლარიდან მოხმარდა 1,7 ათასი ლარი;
განათლება - პროგრამული კოდი - 04 00 პრიორიტეტი მოიცავს ექვს საბიუჯეტო პროგრამას და 2025 წელს გათვალისწინებული 5 849,0 ათასი ლარიდან დაიხარჯა 5 345,1 ათასი ლარი, პრიორიტეტი დაფინანსებულია 91,4 %-თ და წინა 2024 წელთან შედარებით განათლების ხარჯები გაზრდილია 1 365,0 ათასი ლარით.

სკოლამდელი განათლების ფუნქციონირება პროგრამული კოდი 04 01 პროგრამა მოიცავს ხარაგაულის მინიციპალიტეტის 21 საბავშვო ბაღისა და 6 სასკოლო მზაობის ჯგუფისათვის სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის მიხედვით სტანდარტების შესაბამისი კვების უზრუნველყოფას, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარებას, თანამშრომლების შრომითი პირობების გაუმჯობესებას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას.
2025 წელში აღნიშნულ პროგრამაზე დაგეგმილი 3579,4 ათასი ლარიდან გაწეულია 3 543.5 ათასი ლარის ხარჯი.

მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება -პროგრამული კოდი 04 03 ამ პროგრამას 2025 წელში 154 მიმართულებით ემსახურებოდა მიკრო ავტობუსის 80 მძღოლი და სარგებლობდა 1390 მოსწავლე, რაზედაც დაიხარჯა 1 115,1 ათასი ლარი; მ. შ. საქართველოს მთავრობის 2025 წლის 24/01 N 146 განკარგულებით 743,2 ათასი ლარი და საქ. მთავრობის 2025 წლის 30/07 N302 განკარგულებით 373,9 ათასი ლარი.

სკოლების რეაბილიტაცია
პროგრამა ითვალისწინებს საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელების უფლებამოსილების დელეგირების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად სულ 2025 წელს ამ მიზნით 519,4 ათასი ლარიდან ათვისებული იქნა 207,2 ათასი ლარი.

სამი საჯარო სკოლისთვის შეძენილი იქნა 16,0 ათასი ლარის საწვავი ბრიკეტები, მ. შ. სოფელ მოლითისა და ვარძიის საჯარო სკოლებისავის შეძენილი იქნა ხუთ-ხუთი ტონა და სოფელ წიფის საჯარო სკოლისათვის 7 ტონა.

გაწეული იქნა საინჟინრო- საპროექტო მომსახურების ხარჯები. მუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით დაფინანსდა ზედამხედველობისა და ინსპექტირების ხარჯები.

მუნიციპალიტეტმა **სსიპ ბორის საჯარო სკოლის სუბსიდირებაზე** - დაიხარჯა 180,9 ათასი ლარი, პანსიონის მომსახურებით ისარგებლა 6 მოსწავლემ.
სკოლისგარეშე განათლების პროგრამაზე 2025 წელს დახარჯულია 298,4 ათასი ლარი.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - პროგრამული კოდი 05 00
2025 წელს დაგეგმილი 3 681,2ათასი ლარიდან დახარჯულია 3 157,4 ათასი ლარი, წინა 2024 წელთან შედარებით აღნიშნულ პრიორიტეტზე დახარჯულია 642,6 ათასი ლარით მეტი.
სპორტის სფეროს განვითარება - პროგრამული კოდი 05 01

2025 წელს დაგეგმილი 1 487,0 ათასი ლარიდან ათვისებულია 1028,3 ათასი ლარი, 458,7 ათასი ლარით ნაკლები. 69,2 %.

სპორტული ღონისძიებები - დაგეგმილი 20,0 ათასი ლარიდან 13,8 ათასი ლარი მოხმარდა.
სპორტის ხელშეწყობაზე დაგეგმილი 935,9 ათასი ლარიდან დაიხარჯა 745,9 ათასი ლარი, დაგეგმილის 79,7 %, ეკონომია გამოწვეულია არსებული ვაკანსიებით.

სპორტის ცენტრში არსებულ 12 სპორტულ სახეობაში ჩართულია 410 მოსწავლე, რომლებმაც წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღეს 70 სპორტულ ღონისძიებაში.

სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია-მშენებლობა- გეგმით გათვალისწინებული 531,1 ათასი ლარიდან ათვისებულია 268,6 ათასი ლარი,

კულტურის სფეროს განვითარებაზე დაგეგმილი 1 962,2 ათასი ლარიდან ათვისებულია 1 914,2 ათასი ლარი. 97,6 %. მათ შორის:

სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა- მოხმარდა 280,4 ათასი ლარი.

კულტურის, ხელოვნების და შიდა ტურიზმის ხელშეწყობა - სუბსიდირებაზე დაგეგმილი 1 627,5 ათასი ლარიდან დაიხარჯა 1 591,5 ათასი ლარი.

ფოლკლორის ხელშეწყობის პროგრამაზე დაიხარჯა 30,4 ათასი ლარი გრანტის სახით, რომელიც მთლიანად მოხმარდა სალოტბარო სკოლის თანამშრომლების შრომის ანაზღაურებას.

კულტურული ღონისძიებების დაფინანსებას - 2025 წელს მოხმარდა 11,9 ათასი ლარი,

მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ხელშეწყობის ცენტრი 2025 წელს დაფინანსდა 119,4 ათასი ლარით.

რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა - დახარჯულია 80,0 ათასი ლარი, რომელიც გგადაერიცხა მმარგვეთის პარქიას მასთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით და მოხმარდა დაბის საკათედრო ტაძრის სამრეკლოს, ამლოცველო სახლისა და გალავნის მოწყობას.

ახალგაზრდობის მხარდაჭერა- გათვალისწინებული 30,0 ათასი ლარიდან ათვისებულია 15,5 ათასი ლარი. აქედან მუნიციპალიტეტის წარჩინებულ აბიტურიენტებს, რომლებმაც მოიპოვეს სახელმწიფო დაფინანსება გადაეცათ ფულადი სახსრები ჯამში 14,2 ათასი ლარის ოდენობით.

„მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - პროგრამული კოდი 06 00 ‘‘ მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში 2025 წელში მოქმედებდა 22 ქვეპროგრამა. მათ შორის ორი ქვეპროგრამა მოიცავს ჯანმრთელობის დაცვას, ხოლო 20 - სოციალურ უზრუნველყოფას. აღნიშნული პრიორიტეტი ყოველწლიურად იზრდება და 2025 წელს დაგეგმილი 6 522,7 ათასი ლარიდან 4 609,8 ათასი ლარი მოხმარდა. გასულ წელთან შედარებით 1 573,5 ათასი ლარით მეტი.

საზოგადოებრივი ჯანდაცვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველლყოფა- აღნიშნული პროგრამით 2025 წელს დაიხარჯა 290,1 ათასი ლარი. აქედან 191,0 ათასი ლარი დელეგირებული ტრანსფერის ფარგლებში და 99,1ათასი ლარი საკუთარი სახსრებით.

სოციალური პროგრამები - 06 03 პროგრამული კოდი , რომელიც მოიცავს დახმარებას სამედიცინო, მედიკამენტების და გამოკვლევების მიმართულებით. ფინანსურ დახმარებას მრავალშვილიანი და ახალშობილთა ოჯახებისთვის, მარტოხელა მშობლების, მარჩენალდაკარგული, რეინტეგრირებული პირებისთვის, ხანდაზმულებისთვის, სოციალურად დაუცველი, უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისთვის. ფინანსურ დახმარებას სტიქიის შედეგად ან სიძველით დაზიანებული საცხოვრებელი სახლების შესაკეთებლად. ყოველთვიურ დახმარებას შშმ პირთა, დევნილების და უსინათლოებისათვის. ძალადობის მსხვერპლთა, მომეტებული საფრთხის ქვეშ მყოფი და უსახლკარო პირთა ბინის ქირით უზრუნველყოფას. არასრულწლოვანთა ოჯახების დახმარებას, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დახმარებას, უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების გათბობის უზრუნველსაყოფად ფინანასურ დახმარებას; უფასო სასადილოს დაფინანსებას. ადრეული განვითარების სახელმწიფო ქვეპროგრამის ხელშეწყობას, შინმოვლის და პერსონალური ასისტენტის მომსახურების დანერგვას.

2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით პროგრამით გათვალისწინებული 2 760,3 ათასი ლარი გაიზარდა 3 460,9 ათასი ლარით და განისაზღვრა 6 221,2 ათასი ლარით, საიდანაც ათვისებული იქნა 4 319,7 ათასი ლარი 69,4 %, (სახსრების აუთვისებლობა გამოწვეულია გასული წლის თებერვლის თვეში დიდთოვლობის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების გადასახურად საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი სახსრების აუთვისებლობით.

გაწეული 4 319,7 ათასი ლარის ხარჯიდან 710,6 ათასი ლარი დაფინანსდა რეგიონების სარეზერვო ფონდიდან; 32,4 ათასი ლარი საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან; 20,0 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის მიზნობრივი ტრანსფერიდან და დარჩენილი 3 449,4 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო სახსრებიდან, მათ შორის, 107,3 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან იქნა გამოყოფილი, ამასთან საანგარიშგებო წელს წინა 2024 წელთან შედარებით 1 559,4 ათასი ლარით მეტი დაიხარჯა. ამასთან სულ პროგრამით ისარგებლა 10 727 ბენეფიციარმა.

2026 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2026 წლის ცხრა თვის ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში განისაზღვრა 27 453,4 ათასი ლარით, ფაქტიურად მუნიციპალიტეტმა ცხრა თვეში მიიღო 24 473,2 თასი ლარის შემოსულობები, შემოსულობების გეგმა შესრულებულია 89,1%-ით. (ცხრილი N 1) გასული 2025 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2 158,2 ათასი ლარით ნაკლები (2025 წლის ცხრა თვეში მიღებული გვქონდა 26 631,4 ათასი ლარი;) შემოსულობების კლება წინა კვარტლების მსგავსად გამოწვეულია გადასახადებიდან და გრანტებიდან მიღებული შემოსავლების ნაკლებობით. შემოსულობების გეგმის შესრულებას დააკლდა 2,980,3 ათასი ლარი. ამასთან მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების გეგმა შესრულებულია 93,7 %-ით.

ცხრ. N1 (ათას ლარებში)

დასახელება	ცხრა თვის გეგმა			2026 წლის იანვარ- სექტემბრის შესრულება			გეგმის შესრულე ბის %	სხვაობა (+: -)	საკ. შემოს ავლ. %
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
		სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი შემოსავლები			
შემოსულობები	**27,453.4**	**9,683.9**	**17,769.5**	**24,473.12**	**7,828.2**	**16,645.0**	**89.1**	**-2,980.3**	**93.7**
გადასახადები	**15,433.3**		**15,433.3**	**9,457.4**		**9,457.4**	**61.3**	**-5,975.9**	**61.3**
გრანტები	**9,683.9**	**9,683.9**	**0.0**	**7,828.242**	**7,828.2**	**0.0**	**80.8**	**-1,855.7**	
სხვა შემოსავლები	**2,328.7**		**2,328.7**	**7,178.3**		**7,178.319**	**308.3**	**4,849.6**	**308.3**
არაფინანსური აქტივების კლება	**7.5**		**7.5**	**9.2**		**9.2**	**122.8**	**1.7**	**122.8**

1.გადასახადებში მუნიციპალიტეტს საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი 15 433,3 ათასი ლარიდან მიღებული აქვს 9 457,4 ათასი ლარი, 61,3 %, დაგეგმილზე 5 975,9 ათასი ლარით ნაკლები, რაც მთლიანად გამოწვეულია საქართველოს საწარმოთა ქონებაზე და უცხოურ საწარმოთა ქონებაზე გასულ წელს ჩარიცხული შემოსულობების მიმდინარე წელს უკან დაბრუნებით. რის გამოც **ქონების გადასახადი,** ცხრა თვეში დაგეგმილი 6 580,0 ათასი ლარის ნაცვლად მიღებულია მხოლოდ 644,6 ლარი. ვინაიდან საწარმოთა ქონების მსხვილი გადამხდელებიდან უკან არის წაღებული გასულ წელს ჩამორიცხული თანხები. აღსანიშნავია, რომ გასული წლის ცხრა თვეში მუნიციპალიტეტს საქართველოს საწარმოთა ქონების გადასახადიდან 7 974,0 ათასი ლარი ქონდა მიღებული.

ცხრ. N2(ათას ლარებში)

დასახელება	2026 წლის ცხრა თვის გეგმა	2026 წლის ცხრა თვის ფაქტი	გეგმის შესრულების %	სხვაობა (+:-)
გადასახადები სულ	**15,433.3**	**9,457.4**	**61,3**	**--5,975.9**
ქონების გადასახადი	6 580,0	644,6	9,8	-5935,4
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	6 580,0	762,0	11,6	-5818,0

დასახელება	2026 წლის ცხრა თვის გეგმა	2026 წლის ცხრა თვის ფაქტი	გეგმის შესრულების %	სხვაობა (+:-)
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0.0	-128.1		-128.1
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)		0,4		0,4
გადასახადი სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე		3,4		3,4
გადასახადი არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე		6,9		6,9
დამატებული ღირებულების გადასახადი	8853,3	8812,8	99,5	-40,5

დამატებული ღირებულების გადასახადი დაგეგმილი 8 853,3 ათასი ლარიდან შემოსულია 8 812,8 ათასი დაგეგმილის 99,5 %-ი, გეგმის შესრულებას დააკლდა მხოლოდ 40,5 ათასი ლარი.

2. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულია გრანტები ცხრა თვეში დაგეგმილი 9 683,9 ათასი ლარი ნაცვლად ფაქტიურად მიღებულია 7 828,2 ათასი ლარი, 80,8%. მათ შორის:

მიზნობრივი ტრანსფერი საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მიღებულია გეგმა-ფაქტი 10,4 ათასი ლარი;

დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებელი მიზნობრივი ტრანსფერი (ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა) 173,6 ათასი ლარის ნაცვლად 221,4 ათასი ლარი, 127,6 %. ზეგეგმიური მიღება გამოწვეულია მეოთხე კვარტლის კუთვნილი ტრანსფერის მესამე კვარტლის ბოლოს მიღებით.

მიზნობრივი ტრანსფერი მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის დაგეგმილი 780,7 ათასი ლარიდან 766,3 ათასი ლარი - 98,1 %;

ტრანსფერი სკოლების რეაბილიტაციისათვის და საწვავი ბრიკეტების შესაძენად 781,2 ათასი ლარიდან 372,8 ათასი ლარი, ვინაიდან ტრანსფერის მოთხოვნა და მიღება ხდება შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაგეგმილი იყო 5 342,1 ათასი ლარის მიღება, ფაქტიურად მიღებული იქნა 4 460,9 ათასი ლარი -83,5 %. სოფლის მხარდამჭერი პროგრამების განსახორციელებლად დაგეგმილი ვალდებულები შეადგენდა 367,7 ლარს ხოლო ფაქტიური შესრულებებიდან გამომდინარე ცხრა თვეში მიღებულია მხოლოდ 173,9 ათასი ლარი; მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან 381,5 ათასი ლარიდან 331,6 ათასი ლარი; გასული წლის დიდთოვლობის შედეგად დაზიანებული სახლების რეაბილიტაციისა და კომპენსაციებისათვის გამოყოფილი 1318,2 ათასი ლარიდან 1 090,0 ათასი ლარი;

სპეციალური ტრანსფერი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის დაგეგმილი 450,3 ათასი ლარიდან 392,2 ათასი ლარი;

კაპიტალური გრანტი სოფელ ხევის საბავშვო ბაღისათვის ინვენტარის შესაძენად გამოყოფილი 78,2 ათასი ლარიდან 8,7 ათასი ლარი.

ცხრ. N 3 (ათას ლარებში)

დასახელება	2026 წლის ცხრა თვის გეგმა	2026 წლის ცხრა თვის ფაქტი	გეგმის შესრულების %	სხვაობა (+:-)
გრანტები	9,683.9	7,828.242	80.8	-1,855.7
მიზნობრივ ტრანსფერი საქ. მთავრობის სარეზერვო ფონდიდან	10.4	10.4	100.0	0.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	173.6	221.4	127.6	47.9
მიზნობრივიტრანსფერები ცენტრალური სსიპ-ებიდან	780.7	766.3	98.1	-14.5
დელეგირებით სკოლების რეაბილიტაციისათვის	781.2	372.811	47.7	-408.4
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	5,342.1	4,460.9	83.5	-881.2
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	367.7	173.9	47.3	-193.8
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	381.5	331.6	86.9	-49.9

სახელმწიფო ბიუჯეტით მთავრობის სარეზერვო ფონდიდან (სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის დახმარება)	1,318.2	1,090.0	82.7	-228.2
სპეციალური ტრანსფერი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ	450.3	392.2	87.1	-58.1
სხვა კაპიტალური დანიშნულების გრანტი გრანტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან	78.2	8.7	11.2	

3. სხვა შემოსავლების ცხრა თვის გეგმა განსაზღვრული იყო 2 328,7 ათასი ლარით, ფაქტიურად კი მიღებულია 7 178,3 ათასი ლარი, 308,3%; მათ შორის კომერციული ბანკიდან მიღებული პროცენტების თანხა მოსალოდნელი 225,0 ათასი ლარის ნაცვლად შეადგენს 514,1 ათასი ლარს; ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი გეგმიური 45,0 ათასი ლარიდან მიღებულია 40,6 ათასი ლარი; შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან დაგეგმილი 18,7 ათასი ლარის ნაცვლად 90,6 ათასი ლარი. სანებართვო მოსაკრებელი 4,0 ათასი ლარის ნაცვლად 6,9 ათასი ლარი; დასუფთავების მოსაკრებელი დაგეგმილი 36,0 ათასი ლარის ნაცვლად 51,5 ათასი ლარი. ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან კი დაგეგმილი 2000,0 ათასი ლარის ნაცვლად შემოსულია 6 432,9 ათასი ლარი, საიდანაც საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო შემოსულია 3 424,6 თასი ლარი ხოლო დანარჩენი 3 008,3 ათასი ლარი სხვადასხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისა და სანქციებიდან არის მიღებული. სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები დაუგეგმავად მიღებულია 41,7 ათასი ლარი, საიდანაც 24,5 ათასი ლარი არის წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული სახსრები, ხოლო 17,2 ათასი ლარი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლო თანხებიდან არის შემოსული.

ცხრ. N 4 (ათას ლარებში)

დასახელება	2026 წლის ცხრა თვის გეგმა	2026 წლის ცხრა თვის ფაქტი	გეგმის შესრულების %	სხვაობა (+:-)
სხვა შემოსავლები	2,328.7	7,178.3	308.3	4,849.6
პროცენტები	225.0	514.1	228.5	289.1
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	45.0	40.6	90.2	-4.4
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	18.7	90.6	484.3	71.9
სანებართვო მოსაკრებელი	4.0	6.9	171.5	2.9
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	36.0	51.5	143.2	15.5
ჯარიმები, სანქციები და საურავები	2,000.0	6,432.9	321.6	4,432.9
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (წინა წელს გადარიცხული და მიმდინარე წელს უკან დაბრუნებული სახსრები)	0.0	41.7		41.7

4. **არაფინანსური აქტივების კლებიდან** ცხრა თვეში დაგეგმილი იყო 7,5 ათასი ლარი, ფაქტიურად შემოსული 9,2 ათასი ლარი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან.

5. **2026 წლის პირველი იანვრისათვის** მუნიციპალიტეტს ერიცხებოდა 8 1481,6 ათასი ლარის საბიუჯეტო სახსრების ნაშთი, საიდანაც ხარჯების დასაფარავად მიმართულია 4 942,0 ათასი ლარი;

ცხრ. N 5 (ათას ლარებში)

დასახელება	2026 წლის დაზუსტებული გეგმა			2026 წლის იანვარ- სექტემბრის შესრულება		
	სულ	მათ შორის			მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი შემოსავლები
ფინანსური აქტივების ცვლილება	-4,942.0	-1,526.2	-3,415.8	876.6	123.6	753.0
ნაშთი წლის დასაწყისისათვის	0.0			8,141.603	1,456.135	6685.468
ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის	0.0			8,853.020	1,579.740	7,273.280

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2026 წლის ბიუჯეტის გადასახდელების ფაქტიურმა დაფინანსებამ მიმდინარე წლის ცხრა თვეში 23 761,8 ათასი ლარი შეადგინა, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 29 766,2 ათასი ლარის 79,8 პროცენტია. აღნიშნული მაჩვენებელი 2025 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 402,6 ათასი ლარით მეტია. 2025 წელს ცხრა თვეში ფაქტიურად გაწეული იყო 23 359,2 ათასი ლარის ხარჯი. განსაკუთრებულად აღსანიშნავია მიმდინარე წლის ექვს თვეში არსებული მაჩვენებლის გარდატეხა, რადგან ბოლო სამ თვეში გაწეულმა ხარჯმა 10 779,3 ათასი ლარი შეადგინა, რაც მთლიანად ინფრასტრუქტურულ და სოციალურ პროგრამებზე მოდის.

ცხრ. N 6 (ათას ლარებში)

პროგრ. კოდი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	ცხრა თვის გეგმა			2026 წლის იანვარ- სექტემბრის შესრულება			გეგმის შესრულების %	სხვაობა (+:-)
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის			
			სახ. ბიუჯეტი	საკ. შემოსავლები		სახ. ბიუჯეტი	საკ. შემოსავლები		
	სულ გადასახდელებიი	**29,766.2**	**10,649.7**	**19,116.5**	**23,761.8**	**7,704.6**	**16,057.1**	**79.8**	**-6,004.5**
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულება	5,146.4	112.3	5,034.2	4,016.0	108.2	3,907.9	78.0	-1,130.4
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	8,976.6	6,912.7	2,064.0	6,534.1	5,077.5	1,456.6	72.8	-2,442.6
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2,725.0	0.0	2,725.0	2,283.2	0.0	2,283.2	83.8	-441.9
04 00	განათლება	5,428.0	2,033.0	3,395.0	4,452.4	1,167.1	3,285.3	82.0	-975.6
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	3,024.5	0.0	3,024.5	2,556.4	0.0	2,556.4	84.5	-468.0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	4,465.7	1,591.8	2,873.9	3,919.6	1,351.9	2,567.7	87.8	-546.1

მმართველობა და საერთო დანიშნულება (პროგრამული კოდი 01 00)

მმართველობის დაფინანსების ხარჯებმა განვლილ ცხრა თვეში 4 016.0 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის 5 146.4 ათასი ლარი 78,0 პროცენტია.

აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა 1 068,7 ათასი ლარით; მუნიციპალიტეტის მერია 2 916,0 ათასი ლარით; კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი 4,7 ათასი ლარით.

მიმდინარე წლის ცხრა თვეში სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებაზე და ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს ხელშეწყობის დაფინანსებაზე ხარჯები არ გაწეულა.

სასესხო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვაზე გაწეული იქნა 26,6 ათასი ლარი.

აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ათ წლიანი სასესხო ვალდებულებები ჯამში (პროცენტის ჩათვლით) შეადგენდა 532 952 ლარს, დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის მიერ ჯამში დაფარულია 548.9 ათასი ლარი, აქედან 356.7 ათ. ლარი სესხის და 192.2 ათ. ლარი პროცენტის სახით. აღნიშნულიდან გამომდინარე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სასესხო ვალდებულება სსიპ ,,საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი“ -ს მთლიანად დაფარულია.

სარეზერვო ფონდიდან მერის გადაწყვეტილებით ცხრა თვის მონაცემებით გამოყოფილი იქნა 93,8 ათასი ლარი. ამ თანხის უმეტესი ნაწილი 86,5 % - 80,9 ათასი ლარი მიმართულია მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებების დაფინასებაზე. აქედან, მკურნალობის ხარჯებისათვის ერთჯერადად გასაცემელის სახით 35,6 ათასი ლარი, აღნიშნული ფორმით სამკურნალო ხარჯებიდან სარეზერვო ფონდით ხარჯების დაფინანსება ხდება ისეთ შემთხვევაში, როდესაც სრულად არის ამოწურული სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების ქვეპროგრამით გათვალისწინებული ლიმიტი, ან მოქალაქე მკურნალობს ისეთ კლინიკაში რომელიც არ არის საყოველთაო ჯანდაცვის მომსახურების მიმწოდებელი.

ერთჯერადი დახმარების ხარჯებში - 17,5 ათასი ლარი, სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ასანაზღაურებლად 27,8 ათასი ლარი;

წარჩინებული, საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენებისათვის ფულადი საჩუქრის გადასაცემად -4,0 ათასი ლარი;

საქართველოს პატრიარქის ილია მეორის გარდაცვალების გამო, მისთვის პატივის მიგების მიზნით გაწეული ხარჯების დასაფინანსებლად-7,5 ათასი ლარი;

1,4 ათასი ლარი ახალგაზრდული, კულტურული, საგანმანათლებლო ცენტრისათვის განკუთვნილი შენობის კაპიტალური რემონტის გამო ცენტრში კერძო საკუთრების მქონე მეწარმე სუბიექტისათვის ქირავნობის თანხის საკომპენსაციოდ.

ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 6 534,1 ათასი ლარით, დაგეგმილი 8 976,6 ათასი ლარიდან და შეადგინა 72,8 პროცენტია. აღსანიშნავია, რომ უშუალოდ ბოლო სამ თვეში დაფინანსდა 4 562,9 ათასი ლარის სამუშაოები.

ინფრასტრუქტურის განვითარებაზე თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებებით:

ცხრ. N 4 (ათას ლარებში)

პროგრ. კოდი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	ცხრა თვის გეგმა			2026 წლის იანვარ- სექტემბრის შესრულება			გეგმის შესრულების %	სხვაობა (+:-)
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის			
			სახ. ბიუჯეტი	საკ. შემოსავლები		სახ. ბიუჯეტი	საკ. შემოსავლები		
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	8,976.6	6,912.7	2,064.0	6,534.1	5,077.5	1,456.6	72.8	-2,442.6
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	6,686.599	5,514.9	1,171.7	5,703.1	4,827.7	875.4	85.3	-983.5
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	6,294.475	5,497.493	796.982	5,408.697	4,810.4	598.3	85.9	-885.8
02 01 02	გზების მიმდინარე შეკეთება	27.020	3.4	23.6	26.531	3.3	23.2	98.2	-0.5
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	57.4	0.0	57.4	28.669	0.0	28.7	49.9	-28.7
02 01 04	ხიდების, ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია	71.558	3.6	67.9	63.381	3.6	59.7	88.6	-8.2
02 01 05	მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა	236.146	10.4	225.7	175.791	10.4	165.4	74.4	-60.4
02 02	წყლის სისტემის განვითარება	500.108	419.0	81.1	241.482	180.7	60.8	48.3	-258.6
02 02 01	სასმელი წყლით უზრუნველყოფა	432.103	364.8	67.3	187.706	128.4	59.3	43.4	-244.4
02 02 02	კანალიზაციის სისტემების განვითარება (სანიაღვრე არხების მოწყობა)	68.005	54.2	13.8	53.8	52.3	1.5	79.1	-14.2
02 03	გარე განათება	479.543	0.0	479.5	378.4	0.0	378.4	78.9	-101.2
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	440.3	0.0	440.3	342.329	0.0	342.3	77.7	-98.0
02 03 02	გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა	39.2	0.0	39.2	36.053	0.0	36.1	91.9	-3.2
02 04	მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია	113.615	107.0	6.6	23.5	22.8	0.7	20.7	-90.1
02 05	კეთილმოწყობა	634.6	444.8	189.9	118.775	0.9	117.9	18.7	-515.9
02 05 03	კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია	634.637	444.8	189.9	118.775	0.9	117.9	18.7	-515.9
02 09	სოფლის მხარდამჭერი პროგრამა	562.146	426.967	135.2	68.872	45.5	23.4	12.3	-493.3

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება

1.გზების კაპიტალური შეკეთებაზე მიმდინარე წლის ცხრა თვეში დაგეგმილი 6 686,6 ათასი ლარიდან ფაქტიურად დაიხარჯა 5 703,1 ათასი ლარი, 85,3 პროცენტი. მათ შორის 4 810,4 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან და 598,3 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით.
საქართველოს მთავრობის 2025 წლის 16/01 N 102 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორცი ელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი 4 629,8 ათასი ლარიდან მიმდინარე წლის ცხრა თვეში დაფინანსდა 4 134,6 ათასი ლარის გზების რეაბილიტაციის სამუშაოები,
საქართველოს მთავრობის N 222 განკარგულებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაშეში და იგორეთში სტიქიისაგან დაზიანებულ ფერდობების დატერასების და გამაგრების სამუშაოებისათვის გამოყოფილი 199,0 ათასი ლარიდან ათვისებულია 188,0 ათასი ლარი.
საქართველოს მთავრობის N 878 განკარგულება(30.04. 2026 წ) მაღალმთიანი განვითარების ფონდიდან გამოყოფილი 381,5 ათასი ლარიდან ათვისებულია 319,3 ათასი ლარი, მათ შორის სოფელ ბჟინევში გზის რეაბილიტაციის I ეტაპზე 165,1 ათასი ლარი და სოფელ ზვარეში (ხიხაძეების, ორთოიიძეების) საუბნო გზების რეაბილიტაციის I ეტაპზე 154,2 ათასი ლარი.
წინა წლების განკარგულებებით სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდების 292,0 ათასი ლარის ნაშთებიდან ცხრა თვეში დაიხარჯა 168,5 ათასი ლარი.
მუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით მიმდინარე წლის ცხრა თვეში დახარჯულია 598,3 ათასი ლარი, რომელიც ძირითადად მოხმარდა გზებზე ზედამხედველობისა და ინსპექტირების ხარჯების ანაზღაურებას, ასევე მუნიციპალიტეტის სოფლებში ბაზალეთი, წიფი, ვახანი, ნადაბურში გზების რეაბილიტაციას და დაბაში კიკნაძის ქუჩაზე საყრდენი კედლის მოწყობას, ასევე დაბაში და პატარა ხარაგაულში დაზიანებული გზების შეკეთებას.
2. გზების მოვლა-შენახვაზე დაგეგმილი 57,4 ათასი ლარიდან დაფინანსდა 28,8 ათასი ლარის სამუშაოები, ხარჯები ძირითადად გაწეულია სატენდერო და საექსპერტო მომსახურებაზე, სტიქიით დაზარალებულ სოფელ ღვერკსა და ხემაღალში მისასვლელი გზების გაწმენდაზე, ასევე სახ. ბიუჯეტის ფონდის სახსრებით ხიდრის სასოფლო გზაზე მოწყობილია სანიაღვრე არხი.
3. საგზაო ნიშნები და უსაფრთხოების ხარჯებში ვიდეოსამეთვალყურეო კამერების გამართულად მუშაობის უზრუნველყოფის მომსახურებაზე დაგეგმილი 57,4 ათასი ლარიდან დაფინანსდა 28,7 ათასი ლარი. მათ შორის მცირეფასიანი სიჩქარის შემზღუდველი ბარიერების, გამაფრთხილებელი საგზაო ნიშნებისა და საგზაო სარკეების შესყიდვას მოხმარდა 10,0 ათასი ლარი ხოლო დანარჩენი 18,7 ათასი ლარი შპს დელტა კონსალტინგის მიერ გაწეული ვიდეოსამეთვალყურეო კამერების გამართულად მუშაობის უზრუნველყოფის მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაზეა მიმართული.
4. ხიდების, ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია დაგეგმილი 71,6 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 63,4 ათასი ლარით. მ.შ. საკუთარი საბიუჯეტო სახსრებიდან 59,7 ათასი ლარით, რომელიც მოხმარდა სოფელ ისლარის ხიდის მშენებლობა-რეაბილიტაციას, უბისაში მდინარე კვადოურაზე ხიდის რეაბილიტაციას, სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან სოფ.ხიდარში მოეწყო ხიდის მოაჯირი.
5. მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფაზე დაგეგმილი 236,1 ათასი ლარიდან ათვისებულია 175,8 ათასი ლარი. მუნიციპალური ტრანსპორტის მოძრაობს თხუთმეტი მიმართულებით და მოიცავს თითქმის ყველა სოფელს.

ბ) წყლის სისტემის განვითარება

1. სასმელი წყლით უზრუნველყოფაზე მიმდინარე წლის ცხრა თვეში დაგეგმილი 432,1 ათასი ლარიდან ათვისებულია 187,7 ათასი ლარი. მათ შორის მუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით სასმელი წყლის ავზების, წყლის მილებისა სხვა მასალების შესაძენად 59.3 ათასი ლარი,
საქართველოს მთავრობის 16.01.2026 წლის N 102 განკარგულებით გამოყოფილი 359,3 ათასი ლარიდან სოფელ სარგვეშში წყლის სისტემის მოწყობის პირველი ეტაპის სამუშაოებისათვის ათვისებულია 122,9 ათასი ლარი. ასევე წინა წლის N 1207 განკარგულებით გამოყოფილი სახსრებიდან 5,5 ათასი ლარი, წყლის ავზებისა და სხვადასხვა მასალების შესაძენად.
2. კანალიზაციის სისტემის განვითარებაზე (სანიაღვრე და მდინარის ნაპირსამაგრის მოწყობა) გათვალისწინებული 68,0 ათასი ლარიდან ათვისებულია 53,8 ათასი ლარი, აქედან 52,3 ათ. ლარი სახ. ბიუჯეტის

ფონდებიდან გამოყოფილი სახსრებით და მოხმარდა დაბაში წერეთლის ქუჩაზე სტიქიის შედეგად დაზიანებული წყალგამტარი/სანიაღვრეს მოწყობის სამუშაოებს, ასევე გაწეული იქნა ჯიხველას არხის გაწმენდის პროექტირების შესაძენი ხარჯი.

გ) გარე განათება)

1. გარე განათების ექსპლუატაციაზე ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების მიერ დახარჯულია 342,3 ათ. ლარი, აქედან ელექტროენერგიის საფასურის დასაფარავად 156,2 ათ. ლარი; გარე განათების ქსელის რეაბილიტაციაზე 35,9 ათასი ლარი.

2. გარე განათების ახალი წერტილების მოწყობაზე გახარჯული 36,1 ლარიდან 1,1 ათასი ლარი მიმართულია ხანდების კლდისა და ამაშუკეთის გზის განათების პროექტირებაზე; 35,0 თასი ლარი კი მოხმარდა სოფელ ვარძიაში სასოფლო გზაზე გარე განათების ქსელის მოწყობის დასრულებას, რომელიც 2024 წლის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტით განხორციელდა.

დ) მრავალბინიანი სახლების რეკონსტრუქცია დაგეგმილი 113,6 ათასი ლარიდან ათვისებულია 23,5 ათასი ლარი, მათ შორის საქართველოს მთავრობის N102 განკარგულებით დაბაში სოლომონ მეფის N33-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის რეაბლიტაციისათვის 22,8 ათასი ლარი და მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით 0,7 ათასი ლარი საზედამხედველო-საექსპერტო სამუშაობისათვის.

ე) კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაციაზე დაგეგმილი 6346 ათასი ლარიდან დახარჯულია 118,8 ათასი ლარი, აქედან 117,9 ათასი ლარი საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით, მათ შორის 6, 0 ათასი ლარი მიმართულია საპროექტო სამუშაობის დაფინანებაზე (სკვერების მოწყობა, ყოფილი უნივერმაღის შენობის ფასადის სარემონტო სამუშაოებისა და ყოფილი პოლიციის შენობის სახურავის პროექტირება); ასევე მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის ფარგლებში დასრულდა სოფელ სარგვეშში ვეფხვაძეების უბნის წყაროს მიმდინარე ტერიტორიის კეთილმოწყობა და პატარა ხარაგაულში არსებული სკვერის რეაბილიტაცია. 1,4 ათასი ლარი გაიცა მერის სარეზერვო ფონდიდან კომპენსაციის სახით მეწარმე პირის უძრავი ქონების (არასაცხოვრებელი ფართი) იძულებით დატოვების გამო.

ვ) სოფლის მხარდამჭერი პროგრამით ცხრა თვეში დაგეგმილი 562,1 ათასი ლარიდან ვალდებულებები აღებული იქნა 502,9 ათას ლარზე და დაფინანსდა 68,9 ათასი ლარი.

დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავების და გარემოს დაცვის პრიორიტეტი საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 2 283,2 ათასი ლარით, რაც გეგმის 83,8 პროცენტია და 2025 წლის ექვსი თვის მჩვენებლებს აღემატება 522,1 ათასი ლარით. აქედან, 2 021,5 ათასი ლარი მოხმარდა მუნიციპალიტეტის დასუფთავებას და ნარჩენების გატანას, ხოლო სკვერების და მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა დაფინანსდა 261,7 ათასი ლარით. მიმდინარე წელს მიუსაფარი ცხოველების მოვლა-პატრონობაზე ხარჯი არ გაწეულა.

ცხრ. N 5 (ათას ლარებში)

პროგრ. კოდი	დასახელება	ცხრა თვის გეგმა	2026 წლის იანვარ-სექტემბრის შესრულება	გეგმის შესრულების %
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**2,725.0**	**2,283.2**	**83.8**
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2,426.0	2,021.5	83.3
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა	286.0	261.7	91.5
03 03	მიუსაფარი ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	13.0	0.0	0.0

განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

განათლების პრიორიტეტი 2026 წლის ცხრა თვის განმავლობაში დაფინანსდა 4 452,4 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის 5 428,0 ათასი ლარის 82,0 პროცენტია. წინა 2025 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით განათლებას 772,5 ათასი ლარით მეტი მოხმარდა.

ცხრ. N 6 (ათას ლარებში)

პროგრ. კოდი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	ცხრა თვის გეგმა			2026 წლის იანვარ- სექტემბრის შესრულება			გეგმის შესრულების %
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახ. ბიუჯეტის	საკუთარი შემოსავლები		სახ. ბიუჯეტი	საკ. შემოსავლები	
04 00	**განათლება**	**5,428.0**	**2,033.0**	**3,395.0**	**4,452.4**	**1,167.1**	**3,285.3**	**82.0**
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2,983.2	0.0	2,983.2	2,741.7	0.0	2,741.7	91.9
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	78.245	78.2	0.0	5.2	5.2	0.0	6.6
04 03	მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების პროგრამა	929.3	929.3	0.0	822.6	822.6	0.0	88.5
04 04	სკოლების რეაბილიტაცია	1,033.385	1,025.4	8.0	504.9	339.333	165.533	48.9
04 05	ზოგადი განათლების ხელშეწყობა (ინტერნატი)	148.0		148.0	140.8		140.8	95.1
04 06	სკოლისგარეშე განათლების პროგრამა (მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი)	255.800	0.0	255.8	237.3	0.0	237.3	92.8

ა) სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირებაზე დაიხარჯა 2 741,7 ათასი ლარი;
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული 21 საბავშვო ბაღისა და 3 სკოლისათვის მზაობის ჯგუფში რეგისტრირებული 400 აღსაზრდელის შესანახად.
ბ) სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაციის პროგრამით საქ. მთავრობის N 519 განკარგულებით ხევის საბავშვო ბაღის ინვენტარით აღჭურვის მიზნით გამოყოფილი 78,2 ათასი ლარიდან ექვს თვეში აღებული 59,3 ათასი ლარის ვალდებულება დაფინანსდა 5,2 ათასი ლარით.
გ) საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების პროგრამაზე დაიხარჯა 822,6 ათასი ლარი პროგრამაში ჩართულია მუნიციპალიტეტში მოქმედი 25 საჯარო სკოლა , სრულდება 328 მიმართულება (წაყვანა-წამოყვანა და შუა დღის მიმართულებები) ემსახურება მიკრო ავტობუსის 80 მძღოლი და სარგებლობს 1600 ბავშვი.
დ) საჯარო სკოლების რეაბილიტაციაზე დაგეგმილი 1033,4 ათასი ლარიდან ვალდებულება აღებულია 1 008,5 ათას ლარზე და ათვისებულია 504,9 ათასი ლარი. სკოლების რეაბილიტაცია ხორციელდება დელეგირების ფარგლებში საქართველოს მთავრობის N 2260-2, N2260-3, N 1604-1, N994 განკარგულებებით გამოყოფილი კაპიტალური და მიზნობრივი ტრანსფერებით.
გ) ზოგადი განათლების ხელშეწყობაზე სსიპ ბორის საჯარო სკოლა- (ინტერნატი), სადაც ამჟამად 6 მოსწავლე ათევს ღამეს 148,0 ათასი ლარიდან ათვისებულია 140,8 ათასი ლარი.
დ) სკოლისგარეშე განათლების პროგრამის ა(ა)იპ „მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი“ს სუბსიდირებას დაგეგმილი 255,8 ათასი ლარიდან მოხმარდა 237,3 ათასი ლარი.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

აღნიშნული პრიორიტეტის დაფინანსებაზე დაგეგმილი 3 024,5 ათასი ლარიდან გაწეული იქნა 2 556,4 ათასი ლარი, ანუ გეგმის 84,5 პროცენტი. 2025 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 342,0 ათასი ლარით მეტი.
აღნიშნული სახსრებიდან სპორტის სფეროს განვითარებას მოხმარდა 717,4 ათასი ლარი, კულტურის სფეროს განვითარებას 1650,9 ათასი ლარი, რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობას - 80,0 ათასი ლარი, საგამომცემლო საქმიანობას (ა(ა)იპ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრი) – 76,1 ათასი ლარი.
ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსებას 32,1 ათასი ლარი და მოხმარდა მთლიანად მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ოქროსა და ვერცხლის მედლების მფლობელთა დასაჩუქრებას, 30 ოქროს მედალოსანზე გაიცა 30,0 ათასი ლარი და სამ ვერცხლის მედალოსანზე 2,1 ათასი ლარი

ცხრ. N 7 (ათას ლარებში)

პროგრ. კოდი	დასახელება	2026 წლის ექვსი თვის გეგმა გეგმა	2026 წლის ექვსი თვის ფაქტი	გეგმის შესრულების %
05 00	**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**	**3,024.5**	**2,556.4**	**84.5**
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1,048.356	717.429	68.4
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	19.6	17.181	87.7

პროგრ. კოდი	დასახელება	2026 წლის ექვსი თვის გეგმა გეგმა	2026 წლის ექვსი თვის ფაქტი	გეგმის შესრულების %
05 01 02	სპორტის ხელშეწყობა	797.8	554.8	69.5
05 01 03	სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა აღჭურვა	230.956	145.4	63.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1,745.6	1,650.860	94.6
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	1,703.6	1,645.578	96.6
05 02 01 01	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	235.8	227.0	96.2
05 02 01 02	კულტურისა და ხელოვნების და შიდა ტურიზმის ხელშეწყობა	1,442.700	1,393.5	96.6
05 02 01 03	ფოლკლორის ხელშეწყობის პროგრამა	25.1	25.1	100.0
05 02 02	კულტურის ღონისძიებების დაფინანსება	9.750	5.3	54.2
05 03	მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ხელშეწყობის პროგრამა	103.5	76.1	73.5
05 02 03	კულტურის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია, ინვენტარით აღჭურვა	32.241	0.0	0.0
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	80.0	80.0	100.0
05 05	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	47.0	32.1	68.3

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები დაფინანსდა 87,8 %-ით (გეგმა 4 465,7 ათასი, ფაქტი 3 919,6 ათასი ლარი). მათ შორის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსებას მოხმარდა 234,7 ათასი ლარი, (150,0 ათასი ლარი მიზნობრივი ტრანსფერით და 84,6 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრებით)

ცხრ. N 8 (ათას ლარებში)

პროგრ. კოდი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	ცხრა თვის გეგმა			2026 წლის იანვარ- სექტემბრის შესრულება			გეგმის შესრულების %	სხვაობა (+:-)
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის			
			სახ. ბიუჯეტი	საკ. შემოსავლები		სახ. ბიუჯეტი	საკ. შემოსავლები		
06 00	**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**4,465.7**	**1,591.8**	**2,873.9**	**3,919.6**	**1,351.9**	**2,567.7**	**87.8**	**-546.1**
06 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	253.790	154.800	99.0	234.657	150.1	84.6	92.5	-19.1
06 03	**სოციალური დაცვა**	**4,211.890**	**1,436.984**	**2,774.906**	**3,684.937**	**1,201.8**	**2,483.1**	**87.5**	**-527.0**
06 03 01	სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარება	637.6	0.0	637.6	601.809	0.0	601.8	94.4	-35.8
06 03 03	შშმ პირთა დახმარება	77.0	0.0	77.0	69.811	0.0	69.8	90.7	-7.2
06 03 04	ერთჯერადი ფინანსური დახმარება	916.5	0.0	916.500	844.9	0.0	844.9	92.2	-71.7
06 03 05	ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება	47.5	0.0	47.5	40.5	0.0	40.5	85.3	-7.0
06 03 06	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	57.0	0.0	57.0	30.4	0.0	30.4	53.3	-26.6
06 03 07	მარტოხელა მშობლების დახმარება	18.0	0.0	18.0	15.2	0.0	15.2	84.4	-2.8
06 03 08	მარჩენალდაკარგულ და რეინტეგრირებულ პირთა დახმარება	45.0	0.0	45.0	39.3	0.0	39.3	87.3	-5.7
06 03 09	ყოველთვიური დახმარება	61.0	0.0	61.0	59.4	0.0	59.4	97.3	-1.6
06 03 10	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარება	5.0	0.0	5.0	5.0	0.0	5.0	100.0	0.0
06 03 11	ხანდაზმულთა დახმარება	8.0	0.0	8.0	8.0	0.0	8.0	100.0	0.0
06 03 12	სადღესასწაულო დღეების დახმარება	77.700	0.0	77.7	77.660	0.0	77.7	99.9	0.0
06 03 13	სოციალურად დაუცველ და მოვლა-პატრონობის გარეშე დარჩენილი მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება	15.0	0.0	15.0	4.4	0.0	4.4	29.0	-10.7
06 03 14	უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების გათბობის უზრუნველსაყოფად ფინანსური დახმარება	20.0	0.0	20.0	7.1	0.0	7.1	35.3	-13.0
06 03 15	ახალშობილთა ოჯახების დახმარება	41.0	0.0	41.0	37.7	0.0	37.7	92.0	-3.3
06 03 16	გარდაცვლილი დევნილის ან ვეტერანის დაკრძალვა	0.750	0.8	0.0	0.5	0.5	0.0	66.7	-0.3
06 03 17	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და/ან მძიმე	1,714.929	1,418.234	296.695	1,420.902	1,187.1	233.8	82.9	-294.0

პროგრ. კოდი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	ცხრა თვის გეგმა			2026 წლის იანვარ- სექტემბრის შესრულება			გეგმის შესრულების %	სხვაობა (+:-)
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის			
			სახ. ბიუჯეტი	საკ. შემოსავლები		სახ. ბიუჯეტი	საკ. შემოსავლები		
	საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარება, უსახლკაროთა და ძალადობის მსხვერპლთა ბინის ქირით უზრუნველყოფა								
06 03 18	უფასო სასადილო	275.899	0.0	275.9	254.526	0.0	254.5	92.3	-21.4
06 03 19	სოციალური დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და საგრანტო პროექტების ხელშეწყობა	22.5	0.0	22.5	12.187	0.0	12.2	54.2	-10.3
06 03 20	გადაუდებელი რეაგირების ქვეპროგრამა	75.0	0.0	75.0	74.7	0.0	74.7	99.6	-0.3
06 03 21	ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დახმარება	24.0	0.0	24.0	20.1	0.0	20.1	83.8	-3.9
06 03 22	არასრულწლოვანთა მხარდაჭერა და პოზიტიური მშობლობის პროგრამა	68.750	14.250	54.500	61.042	14.3	46.8	88.8	-7.7
06 03 23	პერსონალური ასისტენტის მომსახურება	3.750	3.750	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	-3.8

სოციალური დაცვის პროგრამებით 2026 წლის ცხრა თვეში დაგეგმილი 4 211,9 ათასი ლარიდან ათვისებულია 3 684,9 ათასი ლარი, 87,5%; გასული 2025 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1 210,4ა თასი ლარით მეტი, მიმდინარე წლის ცხრა თვეში სოციალური პროგრამით სულ ისარგებლა 6177 ბენეფიციარმა, ხოლო 2025 წლის ცხრა თვეში 4695 -მა.

სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა, რომლითაც ისარგებლა 1005 ბენეფიციარმა და დაგეგმილი 637,6 ათასი ლარიდან ანგარიშსწორება მოხდენილია 601,8 ათას ლარზე. 94,4%;

შშმ პირთა დახმარების ქვეპროგრამის ცხრა თვის გემა განისაზღვრა 77,0 ათასი ლარით, დაიხარჯა 69,8ათასი ლარი - 90,7%, ქვეპროგრამით ისარგებლა 94 ბენეფიციარმა.

ერთჯერადი ფინანსური დახმარების ქვეპროგრამით დაგეგმილი 916,5 ათასი ლარიდან ფაქტიურად დახარჯულია 844,9 ათასი ლარი - 92,2 %. დაკმაყოფილდა 2997 განცხადება.

ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება _ გეგმა განისაზღვრა 47,5 ათასი ლარი, დაიხარჯა 40,5 ათასი ლარი პროგრამაში ჩართულია 27 პირი.

მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების გეგმა განისაზღვრებოდა 57,0 ათასი ლარით, დახარჯულია 30,4 ათასი ლარი. დაკმაყოფილდა 69 განცხადება.

მარტოხელა მშობლების დახმარების გეგმა განისაზღვრა 18,0 ათასი ლარით, დახარჯულია 15,2 ათასი ლარი. ყოველთვიურად მოსარგებლეა 23 მარტოხელა მშობელი.

მარჩენალდაკარგულთა დახმარების ქვეპროგრამაზე ცხრა თვეში დაიგეგმა 45,0 ათასი ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა 39,3 ათასი ლარი. დაკმაყოფილდა 48 განცხადება.

ყოველთვიური დახმარების ქვეპროგრამით გათვალისწინებული იყო 61,0ათ. ლარი. ათვისებული იქნა 59,4 ათასი ლარი. ქვეპროგრამით მოსარგებლეა 95 ბენეფიციარი.

ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარების ქვეპროგრამაში დაგეგმილი 5,0 ათასი ლარი სრულად იქნა ათვისებული, ისარგებლა 5 ბენეფიციარმა.

ხანდაზმულთა დახმარების ქვეპროგრამა - გეგმა 8,0 ლარი, სრულად არის ათვისებული. მოსარგებლეა 4 პირი.

სადღესასწაულო დღეების დახმარების გეგმა იყო 77,7 ათასი ლარი, დახარჯულია სრულად. სხვადასხვა სახის დახმარება გაიცა 726 პირზე.

სოციალურად დაუცველ და მოვლა-პატრონობის გარეშე დარჩენილ მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურებაზე გეგმა იყო 15,0 ათ. ლარი, ფაქტიური ხარჯი - 4,4 ათ. ლარი. დაკმაყოფილდა 16 განცხადება.

უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების გათბობის უზრუნველსაყოფად ფინანსური დახმარების გეგმა განისაზღვრა 20,0 ათასი ლარით. დახარჯულია 7,1 ათასი ლარი, ისარგებლა 18 ოჯახმა.

ახალშობილთა ოჯახების დახმარების გეგმა განისაზღვრა 41,0 ათ. ლარით. დახარჯულია 37,7 ათ. ლარი. ისარგებლა 72 ახალშობილის ოჯახმა.

გარდაცვლილი დევნილის ან ვეტერანის დაკრძალვაზე დაგეგმილი 0,750 ათასი ლარიდან დაიხარჯა 0,5 ათასი ლარი ორ ბენეფიციარზე.

სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარების ქვეპროგრამით დაგეგმილი 1714,9 ათასი ლარიდან ათვისებულია 1 420,9 ათასი ლარი. აქედან 1 187,1 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და 233,8 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით, მათ შორის სარეზერვო ფონდიდან 27,8 ათასი ლარი. დახმარება გაიცა 241 მოქალაქეზე.

ბინის ქირით უზრუნველსაყოფად გაცემულია 59,5 ათასი ლარი;

სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად 1 260,5 ათასი ლარი, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან 1090,0 ათასი ლარი, (საქართველოს მთავრობის N 826 განკარგულებით 660,0 ათასი ლარი; საქ. მთავრობის N 580 განკარგულებით 430,0 ათასი ლარი) ბიუჯეტის საკუთარი სახსრებით ზიანის ანაზღაურებას 170,5 ათასი ლარი მოხმარდა აქედან როგორც ზევით აღინიშნა 27,8 ათასი ლარი სარეზერვო ფონდიდან იქნა ანაზღაურებული.

სტიქიის შედეგად დაზიანებული 49 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის გადასახურად საქართველოს მთავრობის N 1106 განკარგულებით 97,0 ათასი ლარი;

უფასო სასადილოს მომსახურებით განვლილ ცხრა თვეში ისარგებლა 160 ბენეფიციარმა და დაგეგმილი 275,9 ათასი ლარიდან ათვისებულია 254,5 ათასი ლარი, 92,3 %.

სოციალური დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფაზე დაგეგმილი 22,5ათასი ლარიდან გაწეულია 12,2 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა წითელი ჯვრის სახელშეკრულებო მომსახურების პროექტის „გაძლიერებული ადგილობრივი თემების ახალგაზრდები კატასტროფების ზეგავლენის შემსუბუქების, უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისთვის ხარაგაულის მუნიციპალიტეტში” ანაზღაურებას.

გადაუდებელი რეაგირების ქვეპროგრამით დაგეგმილი 75,0 ათასი ლარიდან 74,7 ათასი ლარი იქნა ათვისებული. ქვეპროგრამის ფარგლებში განხილულია 99 საქმე.

ომისა და სამხედრო ძალთა ვეტერანთა დახმარების ქვეპროგრამით გეგმა განისაზღვრებოდა 24,0 ათ. ლარით. დაკმაყოფილდა 77 განცხადება და გაიცა 20,1 ათ. ლარი.

არასრულწლოვანთა დახმარების ქვეპროგრამის გეგმა განისაზღვრა 68,8 ათასი ლარით, დახარჯულია 61,0 ათასი ლარი, მათ შორის 14,3 ათასი ლარი მიზნობრივი ტრანსფერის და 46,8 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით. აღნიშნული დახმარებით ისარგებლა 51 ოჯახმა.

პერსონალური ასისტენტის მომსახურების ქვეპროგრამით დაგეგმილი 3,8 ათასი ლარი არ გაწეულა, რადგან ჯერ-ჯერობით კვლავ ვერ მოხდა მომსახურების მომწოდებლის დარეგისტრირება.

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების 2026 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების გეგმა შესრულება

მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ებს და სსიპ-ებს მიმდინარე წლის ცხრა თვეში მიღებული აქვთ 8 519,3 ათასი ლარის შემოსავალი. აქედან, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მიღებული აქვთ 8 510,9 ათასი ლარი, ხოლო საკუთარი სახსრებით 8,3 ათასი ლარი ;

სულ გაწეული აქვთ 8 519,0 ათასი ლარის ხარჯი, აქედან 8 510,9 მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით და 8,1 ათასი ლარი ა(ა)იპ-ების საკუთარი შემოსავლებით. სულ გაწეული ხარჯებიდან შრომის ანაზღაურებაზე მიმართულია 7 206,9 ათასი ლარი; შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე 63,4 ათასი ლარი; 13,6 ათასი ლარი მივლინებაზე; 375,7 ათასი ლარი საოფისე ხარჯების გაწევაზე; 4,4 ათასი ლარი მოხმარდა წარმომადგენლობითი ხარჯების ანაზღაურებას; 229,9 ათასი ლარი დაიხარჯა კვების ხარჯებზე; 0,5 ათასი ლარი სამედიცინო ხარჯებზე; 7,3 ათასი ლარი რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის ხარჯებზე; 249,1 ათასი ლარი მიმართულია სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურებაზე; 301,1 ათასი ლარი სხვადასხვა სახელშეკრულებო მომსახურების შესყიდვაზე; 7,4 ათასი ლარი დაიხარჯა სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებზე; 7,9 ათასი ლარი სხვა ხარჯების ანაზღაურებაზე და 44,1 ათასი ლარი არაფინანსური აქტივების ზრდაზე იქნა მიმართული;

2026 წლის პირველი იანვრისათვის ა(ა)იპ-ებს ჯამში ერიცხებოდათ 28,4 ათასი ლარის საკუთარი შემოსავალის ნაშთი, ცხრა თვეში მიიღეს 8,3 ათასი ლარის საკუთარი შემოსავალი, დახარჯული აქვთ 8,1 ათასი ლარი და საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის დარჩათ 28,7 ათასი ლარის საკუთარი შემოსავალის თავისუფალი ნაშთი.

ცხრ. N 10 (ათას ლარებში)

ნაერთი მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ები, სს-პ-ები	2026 წლის IX თვის გეგმა	მათ შორის		2026 წლის IX თვის ფაქტი	მათ შორის	
		საკუთარი სახსრებით	მუნიციპალური ბიუჯეტით		საკუთარი სახსრებით	მუნიციპალური ბიუჯეტით
შემოსულობები	9697.612	10.659	9686.953	8519.267	8.309	8510.958
ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები	9661.828	0.000	9686.953	8510.958	0.000	8510.958
სხვადასხვა დონორი ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	0.000	0.000		0.000	0.000	
სხვა შემოსავლები და შემოსულობები	10.659	10.659	0.000	8.309	8.309	0.000
გადასახდელები	9692.182	5.229	9686.953	8519.037	8.079	8510.958
ხარჯები	9498.188	5.229	9492.959	8474.927	8.079	8466.848
შრომის ანაზღაურება	7620.299	0.000	7620.299	7206.951	0.000	7206.951
საქონელი და მომსახურება	1823.776	5.229	1818.547	1252.657	8.079	1244.578
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	71.400	0.000	71.400	63.441	0.000	63.441
მივლინებები	24.230	0.000	24.230	13.630	0.000	13.630
ოფისის ხარჯები	523.448	0.000	523.448	375.657	0.000	375.657
წარმომადგენლობითი ხარჯები	7.500	0.000	7.500	4.444	2.000	2.444
კვების ხარჯები	285.224	0.000	285.224	229.545	0.000	229.545
სამედიცინო ხარჯები	3.134	0.000	3.134	0.459	0.000	0.459
რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენისა და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	35.854	4.754	31.100	7.311	4.754	2.557
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯები.	332.902	0.000	332.902	249.112	0.850	248.262
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	540.084	0.475	539.609	301.138	0.475	308.583
გრანტი	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
სოციალური უზრუნველყოფა	14.613	0.000	14.613	7.454	0.000	7.454
სხვა ხარჯები	39.500	0.000	39.500	7.865	0.000	7.865
არაფინანსური აქტივების ზრდა	193.994	0.000	193.994	44.110	0.000	44.110
ფინანსური აქტივების ზრდა	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
ვალდებულებების კლება	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
ნაშთის ცვლილება	5.430	5.430	0.000	0.230	0.230	0.000
ზრდა	10.659	10.659	0.000	8.309	8.309	0.000
კლება	5.229	5.229	0.000	8.079	8.079	0.000

თავი III მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალო ვადიან პერიოდში

2026 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა სხვადასხვა აქტივობები, ჩამოყალიბდა 2027 – 2030 წლების მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- **ინფრასტრუქტურის განვითარება;**
- **დასუფთავება და გარემოს დაცვა;**
- **განათლება;**
- **კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი;**
- **მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.**
- **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.**

„პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის #385 ბრძანების შესაბამისად 2027–2030 წლებში ბიუჯეტის განსაზღვრულ პრიორიტეტებზე და ბიუჯეტიდან დაფინანსებული ძირითად პროგრამებზე ასიგნებების ზღვრული მოცულობები განისაზღვროს შემდეგი ოდენობებით:

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ასიგნებისა და მომუშავეთა რიცხოვნობის ზღვრული ოდენობა(საკუთარი შემოსულობების ფარგლებში)

(ათას ლარებში)

პრ. კოდი	დასახელება	მომუშავეთა რიცხოვნება	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	2030 წლის პროგნოზი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულება	212	3 958,2	7,090.8	7,212.8	7,357.8
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	15	3 080,6	3,300.0	3,610.0	3,710.0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	273	3,643.9	3,943.9	3,943.9	3,943.9
04 00	განათლება	376	4,994.4	5,448.0	5,890.7	6,352.5
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	266	3 932,1	4,092.4	4,102.4	4,112.4
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	45	3,494,5	3,914.7	4,057.7	4,059.7
სულ ბიუჯეტი		**1187**	**26,103.700**	**27,789.8**	**28,817.5**	**29,536.3**

პრიორიტეტის მთლიანი დაფინანსება (არსებული პოლიტიკის დასაფინანსებლად)

(ათას ლარებში)

პრ. კოდი	პრიორიტეტის დასახელება	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	2030 წლის პროგნოზი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულება	3 958,2	7,090.8	7,212.8	7,357.8
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	3 080,6	3,300.0	3,610.0	3,710.0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	3,643.9	3,943.9	3,943.9	3,943.9
04 00	განათლება	4,994.4	5,448.0	5,890.7	6,352.5
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	3 932,1	4,092.4	4,102.4	4,112.4

პრ. კოდი	პრიორიტეტის დასახელება	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	2030 წლის პროგნოზი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3,494,5	3,914.7	4,057.7	4,059.7
სულ ბიუჯეტი		**26,103.700**	27,789.8	28,817.5	29,536.3

პრიორიტეტის მთლიანი დაფინანსება (არსებული პოლიტიკის და ახალი ინიციატივების დასაფინანსებლად ჯამურად) (ათას ლარებში)

პროგრამული კოდი	პრიორიტეტების დასახელება	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	2030 წლის პროგნოზი
01 00	**მმართველობა და საერთო დანიშნულება**	**6 958,2**	**7,090.8**	**7,212.8**	**7,357.8**
	მ. შ მომუშავეები	212	212	212	212
	მ.შ. ახალი ინიციატივა	5.0	5.0	5.0	5.0
02 00	**ინფრასტრუქტურის განვითარება**	**3, 080,6**	**3,300.0**	**3,610.0**	**3,710.0**
	მ. შ მომუშავეები	15.0	15.0	15.0	15.0
	მ.შ. ახალი ინიციატივა	150,0	200,0	300.0	300.0
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**3,643.9**	**3,943.9**	**3,943.9**	**3,943.9**
	მ. შ მომუშავეები	273	273	273	273
	მ.შ. ახალი ინიციატივა	50.0	70.0	100.0	150.0
04 00	**განათლება**	**4,994.4**	**5,448.0**	**5,890.7**	**6,352.5**
	მ. შ მომუშავეები	376	376	376	376
	მ.შ. ახალი ინიციატივა	20,0	40.0	50.0	51.0
05 00	**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**	**3 932,1**	**4,092.4**	**4,102.4**	**4,112.4**
	მ. შ მომუშავეები	266	266	266	266
	მ.შ. ახალი ინიციატივა	100,0	120.0	140.0	150.0
06 00	**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**3,494,5**	**3,914.7**	**4,057.7**	**4,059.7**
	მ. შ მომუშავეები	45	45	45	45
	მ.შ. ახალი ინიციატივა	100.0	120.0	140.0	160.0
სულ ბიუჯეტი		**26,103.7**	**27,789.8**	**28,817.5**	**29,536.3**
მ. შ მომუშავეები		**1187**	**1187**	**1187**	**1187**
მ.შ. ახალი ინიციატივა		**425,0**	**555,0**	**735.0**	**816.0**

შენიშვნა: რიცხოვნობაში ჩართულია შესაბამის სფეროში არსებული ააიპ-ების და სსიპ-ების თანამშრომლების რიცხოვნო

პრიორიტეტი: ინფრასტრუქტურია განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. 2027 წლის ბიუჯეტში ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსება მთლიანი გადასახდელების 11,8 %-ია. იგი მზარდი დინამიკით გამოირჩევა და ყოველწლიურად იზრდება. ზრდა ძირითადად განპირობებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერის ზრდით ასევე ზოგიერთ პროექტზე მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობის აუცილებლობით.

ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ტურიზმის, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარებას.

გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზნები, რომელთა მიღწევასაც ემსახურება პრიორიტეტის ქვეშ მოქცეული პროგრამები: მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის. მიზანი 6: წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარიული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა; მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა;

მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანი: მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული, კომფორტული და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნა; ეფექტური და მოთხოვნაზე ორიენტირებული მუნიციპალური სერვისების განვითარება პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების განხორციელება:საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება; წყლის სისტემის განვითარება; გარე განათება; მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია; კეთილმოწყობა; სოფლის მხარდამჭერი პროგრამა.

(ათას ლარებში)

პრ. კოდი	დასახელება	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	2030 წლის პროგნოზი
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	1,570.6	1,710.0	1,990.0	2,090.0
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	750.0	820.0	1,100.0	1,200.0
02 01 02	გზების მიმდინარე შეკეთება	300.0	300.0	300.0	300.0
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	70.6	70.0	70.0	70.0
02 01 04	ხიდების, ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია	200.0	200.0	200.0	200.0
02 01 05	მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა	250.0	320.0	320.0	320.0

პრ. კოდი	დასახელება	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	2030 წლის პროგნოზი
02 02	წყლის სისტემის განვითარება	390.0	440.0	440.0	440.0
02 02 01	სასმელი წყლით უზრუნველყოფა	280.0	230.0	230.0	230.0
02 02 02	კანალიზაციის სისტემების განვითარება (სანიაღვრე არხების მოწყობა)	110.0	210.0	210.0	210.0
02 03	გარე განათება	620.0	600.0	630.0	630.0
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	590.0	600.0	630.0	630.0
02 03 02	გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა	30.0	0.0	0.0	0.0
02 04	მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია	100.0	150.0	150.0	150.0
02 05	კეთილმოწყობა	150.0	150.0	150.0	150.0
02 05 02	სასაფლაოების მოვლა, შემოღობვა	60.0	0.0	0.0	0.0
02 05 03	კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია	90.0	150.0	150.0	150.0
02 09	სოფლის მხარდამჭერი პროგრამა	250.0	250.0	250.0	250.0
02 00	**სულ პრიორიტეტი**	**3,080.6**	**3,300.0**	**3,610.0**	**3,710.0**

1.საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 01)

აღწერა: საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთებას, ახალი გზების, ხიდებისა და ხიდ-ბოგირების, ნაპირსამაგრების მშენებლობას. პროგრამის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი, ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები კი უმეტესწილად ხმარდება გზების მიმდინარე შეკეთებას, საპროექტო და საექსპერტო-მონიტორინგის ხარჯების ანაზღაურებას. მიმდინარე პერიოდისათვის მუნიციპალური გზების 68% სრულად რეაბილიტირებულია, დარჩენილ ნაწილზე მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო ნაწილზე იგეგმება შესაბამისი სამუშაობის ჩატარება. სარეაბილიტაციო გზების შერჩევა ხორციელდება მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე მხედველობაში მიიღება სტიქიური მოვლენების შედეგების აღმოფხვრა და სხვა წინასწარ გაუთვალისწინებელი ღონისძიებები. კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკების პრევენციის მიზნით მოწყობილია სათანადო ინფრასტრუქტურა (სანიაღვრეები).

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ხუთი ქვეპროგრამა: გზების კაპიტალურ შეკეთება, გზების მიმდინარე შეკეთება, რომელიც თავის თავში მოიცავს გზების მოვლა-შენახვას, საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება, ხიდების, ბოგირების მშენებლობა და რეაბილიტაცია, მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმინილი გადაუდებებლი აუცილებლობის გათვალისწინებით, ამასთან დაგეგმარების პროცესში გათვალისწინებულია ქალებისა და მამაკაცების თანასწორობის პრინციპები, ხოლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებს, რათა შეიქმნას უსაფრთხო, კომფორტული და ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი გარემო.

მიზანი: პროგრამის მიზანია საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილებისთვის გარემოს შექმნა.

გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა: მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა. მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: მუნიციპალიტეტში მოწესრიგებულია საგზაო ინფრასტრუქტურა, კატასტროფების რისკების პრევენციისთვის მოწყობილია საინჟინრო ნაგებობები და უზრუნველყოფილია ტრანსპორტისა და ქვეითთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება, შექმნილია თანაბარხელმისაწვდომი ფიზიკური გარემო შშმ პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთათვის

საბოლოო შედეგი	შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო 2026 წელი	2027 წელი	2028 წელი	2029 წელი	2030 წელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
მუნიციპალიტეტში მოწესრიგებულია საგზაო ინფრასტრუქტურა, კატასტროფების რისკების პრევენციისთვის მოწყობილია საინჟინრო ნაგებობები და უზრუნველყოფილია ტრანსპორტისა და ქვეითთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება, შექმნილია თანაბარხელმისაწვდომი ფიზიკური გარემო შშმ პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთათვის	გზების სიგრძე, რომლებზეც ჩატარდება გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები	30	30	30	30	40	5%	სახელშეკრულებო პირობების დარღვევა
	გზების სიგრძე, რომლებზეც ჩატარდება გზების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები	30	30	30	30	40	5%	სახელშეკრულებო პირობების დარღვევა
	ახალი და რეაბილიტირებული ხიდების, ბოგირების და მილხიდების რაოდენობა	13	15	15	15	15	5%	სახელშეკრულებო პირობების დარღვევა
	ვიდეოსამეთვალყურეო კამერების რაოდენობა	20	20	20	20	20	5%	სახელშეკრულებო პირობების დარღვევა
	მწოლიარე პოლიციელების რეაოდენობა						5%	სახელშეკრულებო პირობების დარღვევა
	სოფლების რაოდენობა, სადაც მოსახლეობას საზოგადოებრივი ტრანსპორტი ემსახურება	36	40	45	50	60	5%	სახელშეკრულებო პირობების დარღვევა
	ბენეფიციართა რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურებით	10000	11000	12000	13000	14000	5%	მომართვიანობის შემცირება

1.1.1 გზების კაპიტალური შეკეთება (პროგრამული კოდი 02 01 01)

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ხარაგაულის მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია. ასფალტობეტონის ახალი საფარის მოწყობა სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციით, ფეხით სავალი ნაწილების მოწყობა-რეაბილიტაცია, ბორდიურების მოწყობა. სულ მოეწყობა 35 კმ საერთო სიგრძის ასფალტისსაფრიანი/ ბეტონიანი გზა, სოფლებში, სადაც გათვალისწინებულია საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, სკოლების და საბავშვო ბაღების მისასვლელ მონაკვეთებზე, ფეხით მოსიარულეთათვის მოეწყობა ტროტუარები. კატასტროფების რისკების პრევენციის მიზნით მოეწყობა სანიაღვრე არხები, რაც შეამცირებს წვიმების დროს საგზაო ინფრასტრუქტურის დაზიანებას და უზრუნველყოფს მოსახლეობის ზიანისგან დაცვას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალების, ბავშვების, შშმ პირებისა და ასაკოვანი ადამიანებისთვის, რადგან კლიმატით გამოწვეული კატასტროფების დროს მეტად მოწყვლადები არიან.გარდა ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხებისა 2027 წელს გაგრძელდება რეგიონული განვითარების ფონდით, მაღალმთიანი რეგიონების განვითარების ფონდითა და სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციოდ მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების განხორციელება.

მიზანი: გზების მოწესრიგება (მოასფალტება, მობეტონება) და ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილებისთვის გარემოს შექმნა.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა: მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი: ინკლუზიურობის პრინციპების გათვალისწინებით მოწესრიგებული და ადაპტირებულია ადგილობრივი მნიშვნელობის გზები მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისთვის, მოწყობილია სათანადო ინფრასტრუქტურა კატასტროფების რისკების პრევენციისთვის

შუალედური შედეგი	შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო 2026 წელი	2027 წელი	2028 წელი	2029 წელი	2030 წელი	ცდომილების ალბათობა %/აღწერა	შესაძლო რისკები
ინკლუზიურობის პრინციპების გათვალისწინებით მოწესრიგებული და ადაპტირებულია ადგილობრივი მნიშვნელობის გზები მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისთვის, მოწყობილია სათანადო ინფრასტრუქტურა კატასტროფების რისკების პრევენციისთვის	გზების სიგრძე, რომლებზეც ჩატარდება გზების კაპიტალური რეაბილიტაცია კმ.	30	30	30	30	40	5%	სახელშეკრულებო პირობების დარღვევა
	მუნიციპალიტეტში მოწესრიგებული გზების საერთო სიგრძე ადგილობრივი გზების საერთო სიგრძესთან მიმართებაში	170	180	190	200	210	5%	სახელშეკრულებო პირობების დარღვევა
	გზების საერთო სიგრძე, სადაც ორგანიზებულია საგზაო მოძრაობა	50	50	50	50	50	5%	სახელშეკრულებო პირობების დარღვევა

1.1.2 გზების მიმდინარე შეკეთება (პროგრამული კოდი 02 01 02)

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ხარაგაულის მუნიციპალიტეტში არსებული შიდა მუნიციპალური გზების გასწორხაზოვნება და მრავალწლიანი და ერთობლივი შესყიდვის ფარგლებში გზების მოვლა.გზების მიმდინარე შეკეთების ფარგლებში განხორციელებული სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული გზების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაციას (მათ შორის, ე.წ. ორმოული შეკეთება), ასევე, არაასფალტირებული გზების გრუნტის საფარის მოსწორებას და მოხრეშვა-მოშანდაკებას. წლის განმავლობაში საშუალოდ ხორციელდება 117 000 კვ/მ გზის მიმდინარე შეკეთება.

მიზანი: ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში არსებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება და მოვლა-პატრონობა.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი: უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტში არსებული გზების მოვლა-პატრონობა და გახანგრძლივებულია გზების ექსპლუატაციის ვადა

შუალედური შედეგი	შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო 2026 წელი	2027 წელი	2028 წელი	2029 წელი	2030 წელი	ცდომილების ალბათობა %/აღწერა)	შესაძლო რისკები
უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტში არსებული გზების მოვლა-პატრონობა და გახანგრძლივებულია გზების ექსპლუატაციის ვადა	მოხრეშილი გზების საერთო სიგრძე კმ.	20	20	20	20	25	5%	სახელშეკრულებო პირობების დარღვევა
	ორმოულად შეკეთებული გზების ფართობი კვმ.	1950	2000	2000	2000	2000	5%	სახელშეკრულებო პირობების დარღვევა

1.1.3. საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 01 03)

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდება ვიდეო-სათვალთვალო კამერების შეძენა და მოვლა-პატრონობა. ასევე მუნიციპალიტეტის სოფლებში მოეწყობა სოფლის სახელწოდებების ამსახველი აბრები.

მიზანი: ქვეპროგრამის მიზანია ავტოტრანსპორტის და ფეხით მოსიარულეთა (ბავშვები, ქალები, მამაკაცები,შშმ პირები) მოწესრიგებული გადაადგილება და უსაფრთხოების გაზრდა.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამამიზანი 3--ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის; მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი: განხორციელდება ვიდეო-სათვალთვალო კამერებისა და საგზაო ნიშნების მოვლა-პატრონობა და დაზიანების ან ახალი გზის მშენებლობის შემთხვევაში ახლების შეძენა

შუალედური შედეგი	შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო 2026 წელი	2027 წელი	2028 წელი	2029 წელი	2030 წელი	ცდომილების ალბათობა %/აღწერა)	შესაძლო რისკები
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდება ვიდეო-სათვალთვალო კამერებისა და საგზაო ნიშნების მოვლა-პატრონობა და დაზიანების ან ახალი გზის მშენებლობის შემთხვევაში ახლების შეძენა	ვიდეოსამეთვალყურეო კამერების რაოდენობა	21	21	21	21	21	1%	ვიდეოკამერების დაზიანება
	მწოლიარე პოლიციელების რეაოდენობა	20	20	20	20	20		გათოვლის დროს მოსალოდნელი დაზიანება

1.1.4 ხიდების, ბოგირების მშენებლობა რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 01 04)

აღწერა: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის და შიდა გზებზე არსებული ხიდების რაოდენობა შეადგენს 30 ერთეულს, მათგან რეაბილიტაციას საჭიროებს 15 ერთეული. 2027 წელს

დაგეგმილია და მომზადებულია საპროექტო დოკუმენტაცია 15 ხიდის მოწყობაზე. ხიდებისა და ბოგირების გამართული მდგომარეობა მნიშვნელოვანია სტიქიური მოვლენებისას უსაფრთხო გადაადგილებისა და კატასტროფების რისკების თავიდან ასაცილებლად.
მიზანი: ქვეპროგრამის მიზანია დაზიანებული ხიდების კაპიტალური აღდგენა-რეაბილიტაცია.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა: მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი: რეაბილიტირებულია ხიდები და ხიდბოგირები და შექმნილია პირობები კატასტროფების რისკების შემცირებისა და საგანგებო სიტუაციებში უწყვეტი გადაადგილების უზრუნველყოფისთვის

შუალედური შედეგი	შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო 2026 წელი	2027 წელი	2028 წელი	2029 წელი	2030 წელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
რეაბილიტირებულია ხიდები და ხიდბოგირები და შექმნილია პირობები კატასტროფების რისკების შემცირებისა და საგანგებო სიტუაციებში უწყვეტი გადაადგილების უზრუნველყოფისთვის	მოწყობილი/რეაბილიტირებული ხიდების სიგრძე	70	70	70	70	80	5%	სახელშეკრულებო პირობების დარღვევა
	მოწყობილი/რეაბილიტირებული ხიდების რაოდენობა	13	15	15	15	15	1%	სახელშეკრულებო პირობების დარღვევა

1.1.5 მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 02 01 05)

აღწერა: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ქვეპროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებები მოხმარდება ტრანსპორტით დაქირავების ხარჯებს დაბა ხარაგაულის ცენტრიდან სხვადასხვა სოფლის ცენტრებამდე. მომდევნო წლებში მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად დაემატება ახალი რეისები. საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება ხორციელდება თანასწორობისა და ინკლუზიურობის პრინციპების დაცვით, რაც უზრუნველყოფს ქალებისა და მამაკაცების თანაბარ წვდომას მუნიციპალურ სერვისებზე. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურებით ძირითადად სარგებლობენ ქალები, ბავშვები, მოხუცები. მუნიციპალიტეტის მიერ ტრანსპორტის სუბსიდირება ხელს უწყობს მოსახლეობის დროულ გადაადგილებას და ეხმარება მათ დაბაში სხვადასხვა სერვისების მიღებაში.
მიზანი: ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობისათვის მუნიციპალიტეტის დაბასა და სოფლებს შორის გადაადგილების ხელშეწყობა.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა: მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა;მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება)

მოსალოდნელი შუალედური შედეგი: დაბა ხარაგაულსა და სოფლებს შორის დამაკავშირებელი საზოგადოებრივი ტრანსპორტი მგზავრებს ემსახურება შეუფერხებლად

შუალედური შედეგი	შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო 2026 წელი	2027 წელი	2028 წელი	2029 წელი	2030 წელი	ცდომილებ ის ალბათობა %/აღწერა)	შესაძლო რისკები
დაბა ხარაგაულსა და სოფლებს შორის დამაკავშირებელი საზოგადოებრივი ტრანსპორტი მგზავრებს ემსახურება შეუფერხებლად	სოფლების რაოდენობა, სადაც მოსახლეობას საზოგადოებრივი ტრანსპორტი ემსახურება	25	30	40	60	78	1%	სახელშეკრუ ლებო პირობების დარღვევა
	ბენეფიციართა რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურებით	7000	8000	9000	12000	14000	1%	მომართვიან ობის შემცირება

1.2. წყლის სისტემის განვითარება (პროგრამული კოდი 02 02)

აღწერა: მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სასმელი წყლის უწყვეტი მომარაგება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს. ამ მიზნით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ფინანსდება წყლის სისტემების განვითარების პროგრამა, შედგება ორი ქვეპროგრამისაგან: სასმელი წყლით უზრუნველყოფა; საკანალიზაციო სისტემის განვითარება (სანიაღვრე არხების მოწყობა) პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალების და სხვა) კაპიტალურ რეაბილიტაციას. საჭიროების შემთხვევაში ასევე ხორციელდება ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები. პროგრამა უმეტესწილად ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტის სახრებით, თუმცა მსხვილი პროექტების შემთხვევაში დაფინანსება მიმდინარეობს რეგიონალური განვითარების ფონდიდან.

წყლის სისტემების მოწყობა და მოსახლეობის წყალმომარაგებით უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია სოციალური თანასწორობისა და ინკლუზიურობის თვალსაზრისით. წყალმომარაგების სისტემის მოწყობისა და მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდების შედეგად გაუმჯობესდება საცხოვრებელი პირობები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალებისათვის. არსებული სოციალური როლების განაწილების პირობებში, სოფლად მცხოვრები ქალები მეტად არიან ჩართული შინამეურნეობის მართვაში. გამართული წყალმომარაგება ქალებს შეუმსუბუქებს საოჯახო საქმეებს და ნაკლებად მოუწევთ ფიზიკური შრომა (შორი მანძილიდან წყლის მოტანა, ხელით რეცხვა და სხვა), ექნებათ სხვადასხვა საოჯახო ტექნიკის გამოყენების საშუალება, რაც შეამცირებს აუნაზღაურებელ შრომაში მათი ჩართულობის ხანგრძლივობას და გაათავისუფლებს მეტ დროს სხვა საქმიანობებისთვის.

მიზანი: პროგრამის მიზანს წარმოადგენს მუნიციპალიტეტში წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესება და მოსახლეობის სასმელი (ასევე ტექნიკური) წყლით მომარაგება.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა მიზანი 6 - სუფთა წყალი და სანიტარია. მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: თანასწორობისა და ინკლუზიურობის პრინციპის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტში მოწყობილია წყალმომარაგების სისტემა და გაუმჯობესებულია მოსახლეობის საოჯახო და საცხოვრებელი პირობები

საბოლოო შედეგი	შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო 2026 წელი	2027 წელი	2028 წელი	2029 წელი	2030 წელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
თანასწორობისა და ინკლუზიურობის პრინციპის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტში მოწყობილია წყალმომარაგების სისტემა და გაუმჯობესებულია მოსახლეობის საოჯახო და საცხოვრებელი პირობები	რეაბილიტირებული წყალსადენების სიგრძე (კმ)	15	18	20	22	25	10%	სახელშეკრულებო პირობების დარღვევა
	რეაბილიტირებული სათავე ნაგებობების რაოდენობა	9	10	12	14	15	2%	სახელშეკრულებო პირობების დარღვევა
	მოწყობილი და გაწმენდილი სანიაღვრე არხების რაოდენობა	10	10	10	10	10	5%	სახელშეკრულებო პირობების დარღვევა
	მდინარეზე მოწყობილი ნაპირსამაგრების და საყრდენი კედლების რაოდენობა	5	10	10	10	10	5%	სახელშეკრულებო პირობების დარღვევა

1.2.1 სასმელი წყლით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 02 02 01)

აღწერა: მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სასმელი წყლის უწყვეტი მომარაგებამუ ნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ფინანსდება როგორც არსებული სასმელი წყლის ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალების და სხვა) მოვლა - შენახვა, რეაბილიტაცია, ასევე ახალი ქსელის მოწყობა.დაფინანსების წყაროა მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები და რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები.

მიზანი: ქვეპროგრამის მიზანია წყალმომარაგების სისტემის გამართული ფუნქციონირება

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა მიზანი 6: წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარიული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა. მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი: უზრუნველყოფილია დაბასა და სასოფლო დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობის წყალმომარაგება სასმელი წყლით

შუალედური შედეგი	შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო 2026 წელი	2027 წელი	2028 წელი	2029 წელი	2030 წელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
უზრუნველყოფილია დაბასა და სასოფლო დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობის წყალმომარაგება (მ.შ.სასმელი წყლით)	რეაბილიტირებული წყალსადენების სიგრძე (კმ)	20	26	35	40	40	10%	სახელშეკრულებო პირობების დარღვევა
	რეაბილიტირებული სათავე ნაგებობების რაოდენობა	1	2	3	4	5	5%	სახელშეკრულებო პირობების დარღვევა

1.2.2. კანალიზაციის სისტემების განვითარება (სანიაღვრე და მდინარის ნაპირსამაგრების მოწყობა) (პროგრამული კოდი 02 02 02)

აღწერა: ქვეპროგრამა ითვალისწინებს დაბასა და სოფლებში სანიაღვრე ქსელების მოვლა-პატრონობას (ექსპლოატაცია), მიმდინარე შეკეთებას, სანიაღვრე კოლექტორების, წვიმმიმღებების, საკონტროლო ჭების, გვერდმიმღებების მოწყობას, კიუვეტების გაწმენდას. პროგრამის მიზანია სანიაღვრე ქსელების ნორმალური ფუნქციონირება, სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების სათავე ნაგებობების წესრიგში მოყვანა.სანიაღვრე ქსელების მიმდინარე მოვლა-ექსპლუატაციისა და სანიაღვრე არხების მშენებლობა- რეკონსტრუქციის ღონისძიებები.აღნიშნული ღონისძიებები მნიშვნელოვანია კატასტროფების რისკების პრევენციისთვის, განსაკუთრებით წყალდიდობების, ნიადაგის ეროზიისა და მეწყერული პროცესების თავიდან აცილების თვალსაზრისით, რაც ხელს უწყობს ინფრასტრუქტურის მდგრადობასა და მოსახლეობის უსაფრთხო საცხოვრებელ გარემოს უზრუნველყოფას.

მიზანი: ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის სანიაღვრე სისტემის გაფართოება და გამტარუნარიანობის გაუმჯობესება მოსახლეობისა და ინფრასტრუქტურის დაცვა შესაძლო სტიქიური წყალმოვარდნებისაგან, სანიაღვრე ქსელის გამართული ფუნქციონირება დაბის კომუნალური მეურნეობის მოწესრიგება, ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნა. დატბორილი ადგილების აღმოფხვრა, ტრანსპორტის ფუნქციონირების ხელშეწყობა

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა მიზანი 6: წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარიული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა.მიზანი 11- ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი: მოწესრიგებულია სანიაღვრე სისტემა, მოწყობილია მდინარის ნაპირსამაგრები და საყრდენი კედლები, რის შედეგადაც შემცირებულია სტიქიური მოვლენებისა და წყალდიდობების რისკები და უზრუნველყოფილია როგორც მოსახლეობის უსაფრთხოება ასევე ინფრასტრუქტურის მდგრადობა

შუალედური შედეგი	შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო 2026 წელი	2027 წელი	2028 წელი	2029 წელი	2030 წელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
მოწესრიგებულია სანიაღვრე სისტემა, მოწყობილია მდინარის ნაპირსამაგრები და საყრდენი კედლები, რის შედეგადაც შემცირებულია სტიქიური მოვლენებისა და წყალდიდობების რისკები და უზრუნველყოფილია მოსახლეობის უსაფრთხოება და ინფრასტრუქტურის მდგრადობა	მოწყობილი და გაწმენდილი სანიაღვრე არხების რაოდენობა	15	15	15	15	15	5%	სახელშეკრულებო პირობების დარღვევა
	მდინარეზე მოწყობილი ნაპირსამაგრების და საყრდენი კედლების რაოდენობა	5	10	10	10	10	5%	სახელშეკრულებო პირობების დარღვევა

1.3. გარე განათება (პროგრამული კოდი 02 03)

აღწერა: პროგრამა ითვალისწინებს ქუჩების, მოედნების, სკვერების განათებას, გარე განათების ქსელის რეკონსტრუქციას და ექსპლოატაციას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის მოდერნიზაცია–განვითარება, არსებული ნათურების ეკონომიური ნათურებით ჩანაცვლება, მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა, განათების ახალი წერტილების მოწყობა.. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელის ფუნქციონირებს დაბა ხარაგაულსა და 19 ადმინისტრაციულ ერთეულში. გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 65 %. გარე განათების სისტემა მოიცავს 4000-ზე მეტს განათებისა და ელექტროგაყვანილობის ბოძს,ამის გარდა 90

-ზე მეტ სანათ წერტილს, 100 000 გრძივ მეტრზე მეტ სადენს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურას. პროგრამის ასიგნებების მნიშვნელოვანი ნაწილი მოხმარებული ელექტროენერგიის ანაზღაურებას. პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. -გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია. - კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში. გარე განათების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის როგორც კაპიტალური /ინფრასტრუქტურული ხასიათის , ასევე- მომსახურების. კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელის გაფართოება- გაუმჯობესების ღონისძიებებს, ხოლო მომსახურების ნაწილი- გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაციას(მ.შ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას).

გარე განათების სისტემის მოწყობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალური ინკლუზიურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, რადგან გაუნათებელი ქუჩები განსაკუთრებით რისკის შემცველია ქალებისა, ბავშვებისა, ხანდაზმულებისა და შშმ პირებისთვის. გამართული და სათანადოდ მოვლილი განათების ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნად ამცირებს დანაშაულისა და შემთხვევითი ტრავმების რისკებს.

მიზანი: პროგრამის მიზანია გარე განათების ქსელმა ეტაპობრივად სრულად მოიცვას დასახლებული ადგილები.ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისა და კომფორტული გარემოს შექმნა, განათებულ ქუჩებში მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ქალებისა და ბავშვების უსაფრთხო გადაადგილება, სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილება. კრიმინოგენული ფაქტორების შემცირება.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა მიზანი 7: ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერგია
მიზანი 9: მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: მოწესრიგებულია გარე განათების სისტემა, რაც უზრუნველყოფს ღამის საათებში უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებას ყველა ჯგუფისთვის, განსაკუთრებით ქალების, ბავშვების, ხანდაზმულებისა და შშმ პირებისთვის

საბოლოო შედეგი	შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო 2026 წელი	2027 წელი	2028 წელი	2029 წელი	2030 წელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
მოწესრიგებულია გარე განათების სისტემა, რაც უზრუნველყოფს ღამის საათებში უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებას ყველა ჯგუფისთვის, განსაკუთრებით ქალების, ბავშვების, ხანდაზმულებისა და შშმ პირებისთვის	გამოცვლილი ნათურების რაოდენობა	1550	2500	2500	2500	2500	10%	სტიქია
	საყრდენი ბოძების რაოდენობა	4000	4100	4100	4200	4200	5%	სტიქია

1.3.1 გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 02 03 01)

აღწერა: ქვეპროგრამა ემსახურება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას დაბა ხარაგაულსა და 19 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში), გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 65 %. გარე განათების სისტემა მოიცავს 4050-ზე მეტს განათებისა და ელექტროგაყვანილობის ბოძს, ამის გარდა 4000-ზე მეტ

სანათ წერტილს, 114000 გრძივ მეტრზე მეტ სადენს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურას. ქვეპროგრამის ასიგნებების მნიშვნელოვანი ნაწილი (2027 წელში დაახლოებით 270.0 ათასი ლარი) მოხმარდება მოხმარებული ელექტროენერგიის ანაზღაურებას. თანხები იხარჯება როგორც განათების ქსელის ექსპლუატაციაზე ასევე გარე ქსელის გაფართოებაზეც. პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებები ასევე მოიცავს პარსონალის ხელფასს (ადმინისტრაციის, ელექტრიკოსების და მძღოლების).
მიზანი: ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განათების ქსელი განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფარხების აღმოფხვრა მოხდება ოპერატიულად. ქვეპროგრამის მიზანს ასევა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად მოცვა გარე განათებით.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი: მოწესრიგებულია გარე განათების სისტემა, რაც უზრუნველყოფს ღამის საათებში უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებას ყველა ჯგუფისთვის, განსაკუთრებით ქალების, ბავშვების, ხანდაზმულებისა და შშმ პირებისთვის

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა მიზანი 7: ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერგია მიზანი 9: მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა.

შუალედური შედეგი	შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო 2026 წელი	2027 წელი	2028 წელი	2029 წელი	2030 წელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
მოწესრიგებულია გარე განათების სისტემა, რაც უზრუნველყოფს ღამის საათებში უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებას ყველა ჯგუფისთვის, განსაკუთრებით ქალების, ბავშვების, ხანდაზმულებისა და შშმ პირებისთვის	გამოცვლილი ნათურების რაოდენობა	1550	2500	2500	2500	2500	10%	სტიქია
	საყრდენი ბოძების რაოდენობა	4000	4100	4100	4200	4200	5%	სტიქია

1.3.2 გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა (პროგრამული კოდი 02 03 02)

აღწერა: ქვეპროგრამის მიზანია მონაწილეობითი ბიუჯეტის ფარგლებში განათდება ხანდების კლდე და სოფელ ამაშუკეთის გზაზე მოეწყობა გარე განათება, რომელიც დაიწყო 2026 წელს.

მიზანი: ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში და მასში შემავალ სოფლებში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნა, განათებულ გზებსა და ქუჩებში მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ქალების, ბავშვების და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილება, ასევე კრიმინოგენული ფაქტორების შემცირება. დაბისა და სოფლების იერსახის გაუმჯობესება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი: მოწესრიგებულია გარე განათების სისტემა, რაც უზრუნველყოფს ღამის საათებში უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებას ყველა ჯგუფისთვის, განსაკუთრებით ქალების, ბავშვების, ხანდაზმულებისა და შშმ პირებისთვის

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა მიზანი 7: ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერგია მიზანი 9: მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა.

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი				
	ინდიკატორის დასახელება	ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი 2026 წელი	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2027 წელს	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
მოწესრიგებულია გარე განათების სისტემა, რაც უზრუნველყოფს ღამის საათებში უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებას ყველა ჯგუფისთვის, განსაკუთრებით ქალების, ბავშვების, ხანდაზმულებისა და შშმ პირებისთვის	გამოცვლილი ნათურების რაოდენობა	1550	2500		ბუნებრივი კლიმატური მოვლენები
	საყრდენი ბოძების რაოდენობა	4000	4100		ავტოსატრანსპორტო შემთხვევები

1.4. მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 04)

აღწერა: პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სახურავების რეაბილიტაცია, ფასადების მოწესრიგება, კიბის უჯრედების მოწესრიგება. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღრიცხულია 16 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, აქედან 11 არის დაბაში და 7 მოლითში, მარელისში, წიფასა და დიდვაკეში. აღნიშნული სახლების 60 %-ის ფასადები საჭიროებს რემონტს. წინა წლებში მრავალბინიანი სახლების მხოლოდ 1%-ს შეეცვალა დაზიანებული სახურავი. მნიშვნელოვანია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მოწესრიგება-რეაბილიტაცია, რათა შექმნას თანაბრად ხელმისაწვდომი საცხოვრებელი გარემო ყველა ჯგუფისთვის, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მოწყვლად ჯგუფებს - ქალებს, ბავშვებს ხანდაზმულებს და შშმ პირებს.

მიზანი: პროგრამის მიზანია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობა და მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი: შექმნილია პირობები საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებისთვის და უზრუნველყოფილია უსაფრთხო, კომფორტული და თანაბრად ხელმისაწვდომი საცხოვრებელი გარემო მოსახლეობის ყველა ჯგუფისთვის

შუალედური შედეგი	შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო 2026 წელი	2027 წელი	2028 წელი	2029 წელი	2030 წელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
შექმნილია პირობები საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებისთვის და უზრუნველყოფილია უსაფრთხო, კომფორტული და თანაბრად ხელმისაწვდომი საცხოვრებელი გარემო მოსახლეობის ყველა ჯგუფისთვის	რეაბილიტირებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების რაოდენობა	1	2	3	3	3	1%	სახელშეკრულებო პირობების დარღვევა
	რეაბილიტირებული მრავალბინიანი სახლებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	50	120	120	120	120	5%	მბენეფიციარების მომართვიანობა

1.5. კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 02 05)

აღწერა: მუნიციპალიტეტის დასახლებულ ერთეულებში ხორციელდება სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულია 34 ერთეული საერთო 8700 კვმ ფართობის სკვერი, პარკი. მ.შ. დაბის ტერიტორიაზე 11 ერთეული, 6400 კვმ საერთო ფართობის ღია

სივრცე. რეაბილიტირებული სკვერებისა და პარკების წილი შეადგენს 60 % -ს პროგრამის ფარგლებში, სკერებისა და პარკების კეთილმოწყობის მიზნით ხორციელდება სკვერებში და პარკებში მწვანე სივრცეების, ფეხით მოსიარულეთა ბილიკების, ატრაქციონების, ფანჩატურების და სხვა დასვენების და გართობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა. 2027 წელს გაგრძელდება სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამა. სკვერებისა და პარკების მოწყობის დროს გათვალისწინებული იქნება ქალთა და ბავშვთა, შშმ პირების, ახალგაზრდების, მოხუცების, კაცების და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების საჭიროებები. აღნიშნული პროგრამით რეაბილიტაცია ჩაუტარდება დაბის ტერიტორიაზე როგორც მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობა ნაგებობს. ასევე ისეთ შენობებს, რომლის დაზიანებული იერსახე ამახინჯებს გარემოს და რიგ შემთხვევაში საფრთხეს უქმნის ადამიანების სიცოცხლეს.
მიზანი: მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა და სტუმრებისათვის დასვენებისა და გართობის მიზნით ღია საზოგადოებრივი სივრცეების შექმნა. მოწესრიგებული, უსაფრთხო და ლამაზი გარემო.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: მოეწყობა თანასწორობისა და ინკლუზიურობის პრინციპებზე დაფუძნებული ღია დასასვენებელი სივრცეები. სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებისთვის პარკებსა და სკვერებში შეიქმნება თანაბარხელმისაწვდომი გარემო დასვენებისა და გართობისთვის. დამატებით მოეწყობა საბავშვო ატრაქციონები.

საბოლოო შედეგი	შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო 2026 წელი	2027 წელი	2028 წელი	2029 წელი	2030 წელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
მოეწყობა თანასწორობისა და ინკლუზიურობის პრინციპებზე დაფუძნებული ღია დასასვენებელი სივრცეები. სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებისთვის პარკებსა და სკვერებში შეიქმნება თანაბარხელმისაწვდომი გარემო დასვენებისა და გართობისთვის. დამატებით მოეწყობა საბავშვო ატრაქციონები.	რეაბილიტირებული სკვერების და პარკების რაოდენობა	10	10	10	10	10	1%	სახელშეკრულებო პირობების დარღვევა

1.5.1 კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 05 03)

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში, სკერებისა და პარკების კეთილმოწყობის მიზნით ხორციელდება სკვერებში და პარკებში მწვანე სივრცეების, ფეხითმოსიარულეთა ბილიკების, ატრაქციონების, ფანჩატურების და სხვა დასვენების და გართობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა. 2026 წელს გაგრძელდება სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამა. სკვერებისა და პარკების მოწყობის დროს გათვალისწინებული იქნება ქალთა და ბავშვთა, შშმ პირების, ახალგაზრდების, მოხუცების, კაცების და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების საჭიროებები. ქვეპროგრამის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდება დაბის ტერიტორიაზე როგორც მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობა ნაგებობს. ასევე ისეთ შენობებს, რომლის დაზიანებული იერსახე ამახინჯებს გარემოს და რიგ შემთხვევაში საფრთხეს უქმნის ადამიანებისსიცოცხლეს.

მიზანი: მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა და სტუმრებისათვის დასვენებისა და გართობის მიზნით ღია საზოგადოებრივი სივრცეების შექმნა. მოწესრიგებული, უსაფრთხო და ლამაზი გარემო.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზაანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი: მოეწყობა თანასწორობისა და ინკლუზიურობის პრინციპებზე დაფუძნებული ღია დასასვენებელი სივრცეები. სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებისთვის პარკებსა და სკვერებში შეიქმნება თანაბარხელმისაწვდომი გარემო დასვენებისა და გართობისთვის. დამატებით მოეწყობა საბავშვო ატრაქციონები.

შუალედური შედეგი	შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო 2026 წელი	2027 წელი	2028 წელი	2029 წელი	2030 წელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
მოეწყობა თანასწორობისა და ინკლუზიურობის პრინციპებზე დაფუძნებული ღია დასასვენებელი სივრცეები. სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებისთვის პარკებსა და სკვერებში შეიქმნება თანაბარხელმისაწვდომი გარემო დასვენებისა და გართობისთვის. დამატებით მოეწყობა საბავშვო ატრაქციონები.	რეაბილიტირებული სკვერების და პარკების რაოდენობა	10	10	10	10	10	1%	სახელშეკრულებო პირობების დარღვევა

1.5.2.სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 05 02)

აღწერა: ქვეპროგრამა ითვალისწინებს მონაწილეობითი ბიუჯეტის ფარგლებში შერჩეული გამარჯვებული პროექტით სასაფლაოების შემოღობვას სოფელ ვახანში და სოფელ ხუნევში.

მიზანი: მოვლილი სასაფლაო და კეთილმოწყობილი გარემო.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი: მოვლილი სასაფლაოები

გაეროს მდგრადი განვითარების მიზაანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

შუალედური შედეგი	შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო 2026 წელი	2027 წელი	2028 წელი	2029 წელი	2030 წელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
მოვლილი სასაფლაოები	შემოღობილი სასაფლაოების რაოდენობა	0	2					სახელშეკრულებო პირობების დარღვევა

1.6. სოფლის მხარდამჭერი პროგრამა (პროგრამული კოდი 02 09)

აღწერა: პროგრამის ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრებით, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ინფრასტრუქტურული პირობების გაუმჯობესების მიზნით, მათი მოთხოვნების შესაბამისად ხდება განსახორციელებელი პრიორიტეტების შერჩევა, რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნება განსხვავებული სქესის წარმომადგენელთა მონაწილეობა, რათა შეხვედრების დროს გამოვლინდეს როგორც კაცებისა და ბიჭების, ასევე ქალებისა და გოგონების საჭიროებები.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები ფინანსდება საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხით, რომელიც სპეციალური ფორმულით ნაწილდება მუნიციპალიტეტში არსებულ სოფლებზე. ასევე მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით ხდება თანადაფინანსება. შესასრულებელი პროექტების განსაზღვრა ხდება სოფლის კრებების შესაბამისად და ხორციელდება მერიის და მოსახლეობის მიერ, სადაც გათვალისწინებულია ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ასპექტები.

მიზანი: სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ინფრასტრუქტურული პირობების გაუმჯობესება

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებითადა თანასწორობისა და ინკლუზიურობის პრინციპების დაცვით სოფლად გაუმჯობესებულია ინფრასტრუქტურა

მოსალოდნელი შუალედური შედეგი	შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო 2026 წელი	2027 წელი	2028 წელი	2029 წელი	2030 წელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებითადა თანასწორობისა და ინკლუზიურობის პრინციპების დაცვით სოფლად გაუმჯობესებულია ინფრასტრუქტურა	განხორციელებული პროექტების რაოდენობა	215	220	220	230	230	2%	სახელშეკრულებო პირობების დარღვევა

პრიორიტეტი: დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

პრიორიტეტის ფარგლებში ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება-გაუმჯობესების და ეპიდემიური დაავადებებისგან თავის დაცვის მიზნით, განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება, სასყოფაცხოვრებო ნარჩენების, ქუჩებისა გზების მონახვეტის შეგროვება და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება, ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინაღმდეგო სამუშაოების განხორციელება. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაბაში მოძრაობის აღკვეთა. დამატებითი ურნების დადგმა, არსებული მწვანე საფარის მოვლა-შენარჩუნება და ზრდა, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა,სკვერებში და დაბის ტერიტორიაზე ბალახის გათიბვა.

გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზნები, რომელთა მიღწევასაც ემსახურება პრიორიტეტის ქვეშ მოქცეული პროგრამები: მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 12 - მდგრადი მოხმარება და წარმოება; 15 - დედამიწის ეკოსისტემები.

(ათას ლარებში)

პრ. კოდი	დასახელება	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	20230 წლის პროგნოზი
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	3,200.0	3,500.0	3,500.0	3,500.0
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა	443.9	443.9	443.9	443.9
03 00	**სულ პრიორიტეტი**	**3,643.9**	**3,943.9**	**3,943.9**	**3,943.9**

2.1. დასუფთავება და ნარჩენების გატანა (პროგრამული კოდი 03 01)

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ,,დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება" ახორციელებს დაბისა და მუნიციპალიტეტის ადმინიტრაციული ერთეულიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების მოგროვებას და გატანას. ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 25-35 მ/კუბ ნარჩენი. რაზეცყოველდღიურად მუშაობს 4 ნაგავმზიდი. ქვეპროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებები ასევე მოიცავს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ,,დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებ"-ის ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის პერსონალის (მეეზოვეები, მძღოლები, მტვირთავი, მუშები, წყალანირების ჯგუფი, ზედამხედველების, დამლაგებლებისა და დარაჯებისხელფასებს.

ა(ა)იპ ამ ქვეპროგრამით ასევე აწარმოებს 20 ადმინისტრაციული ერთეულში შემავალ სოფლებში სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების შეკეთება, გასწორხაზოვნება და დამეწყრილი გზების გაწმენდას. ასევე დაბაში დაზიანებული სანიაღვრე არხების, საკანალიზაციო სისტემების შეკეთებას, გაწმენდას. ღონისძიებების განხორციელება ხელს უწყობს კატასტროფების რისკების პრევენციას და ამცირებს სტიქიური მოვლენებით გამოწვეულ უარყოფით შედეგებს, უზრუნველყოფს მოსახლეობის უსაფრთხო გარემოს და აუმჯობესებს ინფრასტრუქტურის მდგრადობასა და საიმედო მუშაობას.
მიზანი: ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება, დაბაში პირუტყვის მოძრაობის აღკვეთა და ზამთრის სეზონზე უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა **გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 12 - მდგრადი მოხმარება და წარმოება.**

მოსალოდნელი შუალედური შედეგი: მუნიციპალიტეტში გაუმჯობესებულია ეკოლოგიური მდგომარეობა და უზრუნველყოფილია დასუფთავების სერვისების ეფექტური მართვა; უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაზიანებული გზების შეკეთება, გათოვლა.

შუალედური შედეგი	შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო 2026 წელი	2027 წელი	2028 წელი	2029 წელი	2030 წელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
მუნიციპალიტეტში გაუმჯობესებულია ეკოლოგიური მდგომარეობა და უზრუნველყოფილია დასუფთავების სერვისების ეფექტური მართვა	წლის განმავლობაში გატანილი ნარჩენების მოცულობა	11500	11500	11500	11500	11500	10%	სპეცტექნიკის გაუმართაობა
	ყოველდღიურად დასუფთავებული ტერიტორიის ფართობი	9500	9500	9500	9500	9500	10%	სპეცტექნიკის გაუმართაობა
	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ნაგავშემკრები კონტეინერები	650	700	700	700	700	2%	დაზიანებული კონტეინერები
მუნიციპალიტეტის	მუნიციპალიტეტის	100 ლოკაცია	100	100	100	100 ლოკაცია	5%	კლიმატური

ტერიტორიაზე გზების შეკეთების უზრუნველყოფა	ტერიტორიაზე გზების შეკეთება, გასწორხაზოვნება, ჩამოშლილი მეწყერისაგან გზების გაწმენდა		ლოკაცია	ლოკაცია	ლოკაცია			პირობები
	დაბა ხარაგაულში დაზიანებული სანიაღვრე არხების შეკეთება, გაწმენდა	16 ლოკაცია	18 ლოკაცია	18 ლოკაცია	18 ლოკაცია	18 ლოკაცია	2%	კლიმატური პირობები
	დაბა ხარაგაულში დაზიანებული საკანალიზაციო სისტემის შეკეთება, მოწესრიგება	21 ლოკაცია	22 ლოკაცია	22 ლოკაცია	22 ლოკაცია	22 ლოკაცია	2%	კლიმატური პირობები

2.2. მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება (პროგრამული კოდი 03 02)

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები, ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამლვა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების, პარკებისა და სავალი გზის ნაპირების გაცელვითი სამუშაოები.

მიზანი: პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა მიზანი 15 - დედამიწის ეკოსისტემები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი: უზრუნველყოფილი იქნება დაბის ტერიტორიის გამქვანება, ერთწლიანი და მრავალწლიანი მცენარეების დარგვა

შუალედურიშედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	საბაზისო 2026 წელი	2027 წელი	2028 წელი	2029 წელი	2030 წელი	ცდომილებები ს ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
უზრუნველყოფილი იქნება დაბის ტერიტორიის გამქვანება, ერთწლიანი და მრავალწლიანი მცენარეების დარგვა	დარგული ერთწლიანი ყვავილების რაოდენობა	650	700	700	700	700	10%	სახელშეკრულებო პირობების დარღვევაი
	დარგული მრავალწლიანი ხე-ბუჩქების რაოდენობა	80	580	100	100	100	10%	სახელშეკრულებო პირობების დარღვევაი

პრიორიტეტი: განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ აღზრდას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების გამართული ფუნქციონირება და სკოლამდელი

აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია მშენებლობა. სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში ხდება მოსწავლე-ახალგაზრდობის სკოლისგარეშე განათლების დონის ამაღლების ხელშეწყობა. ასევე პრიორიტეტის ფარგლებში ფინანსდება ბორის საჯარო სკოლის ბაზაზე არსებული პანსიონური მომსახურება. ამასთან ერთად სასკოლო განათლების ხელშეწყობის მიზნით მთავრობის განკარგულების შესაბამისად დელიგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ხორციელდება რამდენიმე საჯარო სკოლის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და ხდება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება.

გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზნები, რომელთა მიღწევასაც ემსახურება პრიორიტეტის ქვეშ მოქცეული პროგრამები: მიზანი 4 - ხარისხიანი განთლება.

(ათას ლარებში)

პრ. კოდი	დასახელება	2027 წლის პროექტი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი	20230 წლის პროექტი
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	4,358.0	4,820.5	5,263.2	5,725.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	0.0	0.0	0.0	0.0
04 03	მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების პროგრამა	0.0	0.0	0.0	0.0
04 04	სკოლების რეაბილიტაცია, აღჭურვა	**10.0**	15.0	15.0	15.0
04 05	ზოგადი განათლების ხელშეწყობა (ინტერნატი)	204.5	190.6	190.6	190.6
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	421.9	421.9	421.9	421.9
04 00	**სულ პრიორიტეტი**	**4,994.4**	**5,448.0**	**5,890.7**	**6,352.5**

3.1. სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება (პროგრამული კოდი 04 01)

აღწერა: სკოლამდელი აღზრდის სფეროში განსახორციელებელ პროგრამას ახორციელებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება". ხარაგაულის მუნიციპალიტეტში არის 21 საბავშვო ბაღი და 2 სკოლისათვის მზაობის ჯგუფი. სულ 2027 წლისათვის 400 აღსაზრდელია მათ შორის 190 გოგო და 210 ბიჭი. სკოლამდელ დაწესებულებაში დასაქმებულია 314 შტატით და 14 შტატგარეშე (ცეცხლფარეში) სულ 328 თანამშრომელი მათ შორის 30 მამაკაცი. გაერთიანების ეფექტური ფუნქციონირების მიზნით დაგეგმილია სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა. საბავშვო ბაღების გარე და შიგა სივრცის სწორად მოწყობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბავშვის ფიზიკურ, ემოციურ, სოციალურ და შემეცნებით განვითარებაში. გარემო, რომელშიც პატარა დროს ატარებს, მისი ყოველდღიური აღქმისა და ქცევის განმსაზღვრელი ხდება. უსაფრთხოება და ფიზიკური განვითარება, მშვიდი და ეკოლოგიურად სუფთა ინვენტარით აღჭურვილი სივრცე ბავშვს აძლევს თავისუფალი მოძრაობისა და ფიზიკური აქტივობის საშუალებას. სოციალური და ემოციური უნარები, სწორად დაგეგმილი ჯგუფური და ინდივიდუალური სივრცეები ხელს უწყობს თანატოლებთან ურთიერთობას. საერთო სათამაშო ზონები ბავშვებს გაზიარებას, თანამშრომლობასა და გუნდურ აზროვნებას ასწავლის, ხოლო მყუდრო "მშვიდი კუთხეები" ეხმარება მათ ემოციების მართვასა და დასვენებაში. საგანმანათლებლო და განვითარებადი რესურსების სიმრავლე უბიძგებს მათ დამოუკიდებელი აღმოჩენებისა და პრობლემების გადაჭრისაკენ. საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვების

უზრუნველყოფა. აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო,შენობა, ინვენტარი და სხვა)განვითარება. თანამშრომლების შრომითი პირობებისგაუმჯობესებასა და მათი კვალიფიკაციის ამაღლება.

მიზანი: სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების ეფექტიანად მიწოდება, საბავშვო ბაღებში უსაფრთხო და ბავშვზე ორიენტირებული გარემოს უზრუნველყოფა, საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება და ბავშვთა მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG) რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა მიზანი 4 - ხარისხიანი განთლება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი: მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფილია სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდის სფეროს მომსახურების თანაბარი ხელმისაწვდომობა. მოზარდთა შემეცნებითი და ინტელექტუალური დონის ამაღლება. სკოლამდელი დაწესებულებების მატერიალური-ტექნიკური ბაზის ფუნქციონირების ხელშეწყობა.
უსაფრთხო, ბავშვის კეთილდღეობაძე ორიენტირებული გარემო, რომლის თამაშზე დაფუძვნებული სწავლებით, ოჯახთან და თემთან პარტნიორობით, ხელს შეუწყობს აღსაზრდელთა მრავალმხრივ განვითარებას და სკოლისათვის მზაობას. პოზიტიური, გუნდური თანამშრომლობა და ნდობაზე და ნდობაზე დაფუძვნებული ურთიერთობები, მაღალკვალიფიკაციური აღმზრდელ-პედაგოგების მეშვეობით შექმნილი საინტერესო გარემო, სადაც გათვალისწინებულია თითოეული ბავშვის ძლიერი მხარეები, ინტერესები და ყველა გრძნობს თავს კომფორტულად,უსაფრთხოდ და თანასწორად.

შუალედური შედეგი	**შეფასების ინდიკატორი**							
	ინდიკატორის დასახელება	ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი 2026 წელი	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2027 წელს	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2028 წელს	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2029 წელს	ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2030 წელს	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
